პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი სამშაბათი 13 თებერვალი № 37 (17382) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრკ მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „კვალიფიციური კადრების მომზადების შემდგომი გაუმჯობესებისა და მუშენებლობაში მათი შენარჩუნების ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული მშენებლობის კვალიფიკური დონის ამაღლების, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, დიდი სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების ქსელის შექმნისა და კვალიფიციური მშენებელი მუშების მომზადებისათვის.

განხორციელდა მუშათა შრომის ორგანიზაციისა და სანიონა-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მთელი რიგი ღონისძიებანი.

ამავე დროს კაპიტალური მშენებლობის დარგში სკკპ XXV ყრილობის შიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტა, კაპიტალდაბანდებათა მოცულობის ზრდა, მშენებარე ობიექტების მრავალფეროვნება და ტექნიკური სირთულე მოითხოვს კვალიფიციური კადრების მომზადების გაუმჯობესებასა და მშენებლობაში მათ შენარჩუნებას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიღებულ დადგენილებაში სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც მშენებლობას ახორციელებენ, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მისცეს თავიანთ უმნიშვნელოვანეს ამოცანებად მიიჩნიონ მშენებლობის მუდმივი მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა, მათი პროფესიული მომზადების სისტემის სრულყოფა, შრომის მოწინავე მეთოდების, ბრიგადული იჯარისა და შრომის ანაზღაურების პროგრესული ფორმების დანერგვა, რომლებიც ხელს უწყობენ მუშაკთა შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის ამაღლებას, სამშენებლო სამუშაოების ხარისხის გაუმჯობესებასა და კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულებას.

სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად დაევალა 1979-1980 წლებში უზრუნველყოს სამშენებლო და სამონტაჟო პროფესიების 600 ათასზე მეტი კვალიფიციური მუშის მომზადება. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები მოსწავლეებით (პროფესიების მიხედვით) დააკომპლექტოს საბაზო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებთან ერთად მათი მოთხოვნილების შესაბამისად. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულები გაგზავნოს სამინისტროებისა და უწყებების მშენებლობებზე, რომელთა ორგანიზაციების საწარმოო ბაზაზე მოქმედებენ აღნიშნული სასწავლებლები.

სსრ კავშირის სამშენებლო სამინისტროს, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს 1979-1980 წლებისათვის მიეცათ დავალება, რომ აუშენონ და აღჭურვონ ელექტროტექნიკისა და ელექტრონიკის სამინისტროს, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს დაავალეს უზრუნველყონ, რომ წარმოებაში მოამზადონ სამშენებლო და სამონტაჟო პროფესიების კვალიფიციური მუშები, აუშენონ და გააფართოონ სასწავლო კომბინატები (ტექნიკური სკოლები, სასწავლო პუნქტები), დააკომპლექტონ ისინი საჭირო ინვენტარით, თანამედროვე მოწყობილობითა და ტექნიკური სასწავლო საშუალებებით. ამ სამინისტროებს წინადადება მიეცათ შექმნან მუდმივმოქმედი კურსები საწარმოო ბრიგადების ბრიგადირთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, უცრო ფართოდ მიიზიდონ სასწავლო კომბინატებში (ტექნიკურ სკოლებში, სასწავლო პუნქტებში) მუშათა მოსამზადებლად საუკეთესო ბრიგადირები, შრომის ვეტერანები, დამსახურებული მშენებლები, აგრეთვე პენსიონერი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

ნებადართულია მუშათა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გეგმების წარმატებით შესრულებისათვის მუშაკთა პრემირება „იმ სასწავლო კომბინატების (ტექნიკური სკოლების, სასწავლო პუნქტების) მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდის სახსრების ხარჯზე, რომლებიც ახორციელებენ კადრების ცენტრალიზებულ მომზადებას.

სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს უფლება მიეცათ სამეურნეო მოწყობისათვის გადაუხადონ ერთდროული დახმარება 500 მანეთამდე ოდენობით მატერიალური წახალისების ფონდის ხარჯზე სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებმაც საბჭოთა არმიის რიგებიდან თადარიგში დათხოვნის შემდეგ დადეს ხელშეკრულება სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებში სამი წლის მანძილზე მუშაობის შესახებ. ნებადართულია 1980 წლის ივლისიდან ერთდროული დაუბრუნებელი დახმარება მისცენ მუშებს, რომლებიც ორგანიზებული შეგროვების წესით იგზავნებიან მშენებლობებზე 2 წლის ვადით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის სამშენებლო სამინისტროებს, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, აგრეთვე მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან, ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან და მოსკოვის საოლქო საბჭოს აღმასკომთან არსებულ მშენებლობის მთავარ სამმართველოებს ნება დართეს საცხოვრებელი სახლების, კომუნალური მეურნეობის, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების, სპორტული ნაგებობების, სკოლებისა და სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობას, მოახმარონ კაპიტალური დაბანდებანი საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის გათვალისწინებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა საერთო მოცულობის ხუთ პროცენტამდე ოდენობით, ამასთან არ შეამცირონ საწარმოო სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების ამოქმედების დავალებანი.

(დასასრული მე-2 გვ.)

სამშობლოს ჯილდოს პასუხად

ამთავითვე ვჭედოთ ხვალინდელი დღის საქმე

— ასეთია საქართველოს მშრომელი კაცის ალალი გულისთქმა

ქუთაისელ მშრომელთა სიხარული

ქუთაისი, 12 თებერვალი. (საქინფორმის კორ.). რესპუბლიკის მეორე სამრეწველო და კულტურული ცენტრის მშრომელები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ 1978 წელს მიღწეული მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის ქალაქი ქუთაისი და პურაპროდუქტების კომბინატის ოლექტივი დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

— უდიდეს მადლობას მოვახსენებთ შშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას ჩვენი, უბრალო საბჭოთა ადამიანების შრომის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის. ეს ჯილდო გვაძლევს ენერგიას და ამავე დროს გვავალებს კიდევ მეტი თავდადებით ვიბრძოლოთ წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ქუთაისელმა მშრომელებმა, რომლებიც აღაფრთოვანა ჯილდომ, გადაწყვიტეს ხუთწლედის მეოთხე წელს სამშობლოს მისცენ ბევრად უფრო მეტი ავტომობილები, ტრაქტორები, ლითოფონი, აბრეშუმის ქსოვილები და სხვა ნაწარმი, ვიდრე ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებით არის გათვალისწინებული.

ქალ-ღონეს არ დაეშურებთ

ზედიზედ მეექვსედ საკავშირო დონეზე რესპუბლიკის დაჯილდოებამ ყველა მშრომელი გაახარა, მაგრამ ამ ცნობამ განსაკუთრებით აღაფრთოვანა ჩვენი ფაბრიკის კოლექტივი, რომელიც წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, 1978 წლის სახელმწიფო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის გაშლილ სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში „ამარჯვების გამო გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოდა.

შარშან ჩვენმა ფაბრიკამ გეგმის გადამეტებით მილიონ-ნახევარი ცალი ცვერცხი და 1.495 ცენტნერი ხორცი აწარმოვა. ამ წარმატებაში ღირსეული წვლილი შეიტანა პირველმა საწარმოო ბრიგადამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ.

ჩვენი შრომის ესოდენ დიდი დაფასების პასუხად კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღებთ სოციალისტურ შეჯიბრებას, ხუთწლედის მეოთხე წელს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 204-ისა ყოველ მოქცეულზე მივიღებთ 240 ცალ კვერცხს, შევამცირებთ პროდუქციის თვითღირებულებას, დავზოგავთ სამუშაო დროს, ფრინველს საკვებს და სხვა მატერიალურ რესურსებს. ძალღონეს არ დავიშურებთ იმისათვის, რომ წლეულსაც გავიმარჯვოთ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ე. თოდუა,
გარდაბნის რაიონის ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის ბრიგადირი, საპატიო ნიშნის ორდენოსანი.

გაგიმარჯოს, საქართველო!

გამოქვეყნებულია ცნობა, რომ საქართველომ რესპუბლიკათა შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში (უკვე მერამდენედ!) გაუგონარ შრომითს წარმატებას მიაღწია და დაჯილდოებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

რა გრძნობა, რა ფიქრი შეიძლება აღძრას ასეთმა ცნობამ ქართველი მწერლის, ქართველი პატრიოტის, ყოველი საღად მოაზროვნე ქართველის გულში?

ყოველი დროის მწერალი, უკეთუ იგი ჭეშმარიტი მწერალია, ვალდებულია საღად, ობიექტურად აღიქვამდეს თავის ეპოქას და ამასთანავე აწმყოს მერმისის სანახებიდან ჰვრეტდეს.

გავხდით მნიშვნელოვანი ფაქტის მოწმენი!

ვითარცა მწერლები, ჩვენ მთავარ ყურადღებას ამ ფაქტის, უპირველეს ყოვლისა, მორალურ ასპექტს მივაპყურობთ. ჩვენთვის ქართველი ხალხის პრესტიჟია უმთავრესი ისეთ მრავალეროვან ქვეყანაში, როგორიც არის საბჭოთა კავშირი.

საუკუნეთა უღრანებში გამოვლილმა მრავალტანჯულმა ქართველმა ხალხმა — არა მარტო სულიერ ღირებულებათა შემოქმედმა, არამედ უძველესი სამეურნეო და საყოფაცხოვრებო კულტურის ერმა, სრულიად საფუძვლიანად მოიპოვა ერთობლივი აღიარება მთელს საბჭოთა კავშირში. ამას კი უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ქართველი ხალხის აწმყო და მომავალი ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რას ფიქრობენ ჩვენზე, როგორია ქართველი კაცის სახე იმათ თვალში, ვის გვერდით და ვისთან ცხოვრებაც ბედმა გვარგუნა.

დასამალი არ არის, რომ რესპუბლიკის საკავშირო ავტორიტეტი ათწლეულების მანძილზე ერთგვაროვანი არ ყოფილა.

გულისტკივილით ვიგონებთ დროს, როცა თვალუწვდენელი ქვეყნის აეროპორტებსა თუ რკინიგზის სადგურებში, სასტუმროებსა თუ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ხელს იშვერდნენ ჩვენკენ და საქართველოს დაღონებული და უზრუნველი, ცხოვრების ბუდედ სახავენ ვგრძნობ, ალბათ — ეს ახლაც მბრუნავი ქართველი, მეფოლადე, ვაზის მეკალთაძე, ქართველი მეგალითი — ხნულში და ჩარხთან თავჩაღებული მშრომელი საქართველო?!

შექმნილი შეუთანხმყოფელი აზრი უეჭველად უნდა გაფანტულიყო!

შელახული თავმოყვარეობა აღდგენასა და განმტკიცებას საჭიროებდა!

მოხდა მნიშვნელოვანი ძვრები ერის ცხოვრებაში.

გაწეულია უმძიმესი და დაძაბული ჯაფა.

მოხდა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რამ: მზეზე ამოვიდა და საქვეყნოდ, ყველასათვის ერთნაირად (ზოგიერთი ურწმუნო თომასთვისაც კი) ამკარა გახდა ყველა ის საუკეთესო თვისება, რომელიც ახასიათებს ქართველ ხალხს და მას თავის განუმეორებელ ელვარებას ანიჭებს ხალხთა შორის.

პირუთვნელად უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, იპოვა ძალები უძნელესი ამოცანის გადასაწყვეტად.

უკანასკნელი წლების წარმატებანი — ოფლის მდინარეების, შემოქმედებითი შემართების და გაბედულების, უძილო ღამეების შედეგად მოპოვებული ეს დროშებიც, ქართული ენის დაცვის, მისი ყოველმხრივი განვითარების, მასზე ზრუნვის სახელმწიფო რანგში აყვანა და ამხანაგ ედუარდ შევარდნაძის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად არჩევა — რესპუბლიკის საკავშირო ავტორიტეტის განმტკიცებად, ქართველი ხალხის დაფასებად და ანგარიშის გაწევად მიგვაჩნია!

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს ყველაფერი ქართველი მშრომელი კაცის ღვაწლია!

ხელს ვართმევთ ჩვენს ხალხს-მარჩენალს!

ვუღოცავთ მას მოპოვებულ წარმატებას და მომავლისათვის კიდევ უფრო მნიშვნელოვან გამარჯვებებს ვიმედოვნებთ ერის ცხოვრების ყველა სასიცოცხლო სფეროში.

ანა კალანდაძე,
მურმან ლებანიძე,
მუხრან მაჭავარიანი,
თამაზ ჭილაძე.

12 II 79

მათ თავი ისახელეს

სასიხარულო ამბავი მოედო თბილისის 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკას. საწარმოს ყველა მშრომელი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა საქართველოს სს რესპუბლიკის დაჯილდოებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა შორის, რომლებსაც დიდი ჯილდო მიენიჭათ, არის თბილისის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივიც.

სურათზე: ფაბრიკის მოწინავე წარმოების მუშაკები (მარცხნიდან): მედეა კანთელაძე, დარეჯან ბეცეცაშვილი, ლამარა ოქრაძე, თინა მიდელაშვილი და ნინო ქვავაძე დიდი ჯილდოს პასუხად ახალ ვალდებულებებს კისრულობენ.

ვ. მორგუნოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მეგობრულ ვითარებაში

12 თებერვალს მოსკოვში დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მოლაპარაკება საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ჟ. ფრანსუა-პონსესთან, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად არის საბჭოთა კავშირში საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

მოლაპარაკების დროს გაიმართა აზრთა გაზიარება მსოფლიო პოლიტიკის ისეთ აქტუალურ პრობლემებზე, როგორიც არის დაძაბულობის შენელების პროცესის განვითარება. გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და განიარაღების დარგის რეალურ ღონისძიებებზე გადასვლა.

განიხილეს აგრეთვე საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ორმხრივი ურთიერთობის ძირითადი მიმართულებანი და კმაყოფილება გამოთქვეს სხვადასხვა დარგში თანამშრომლობის მიმდინარეობის გამო.

მოლაპარაკება საქმიან, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობს.

იმავე დღეს ა. ა. გრომიკომ საუზმე გაუმართა ჟ. ფრანსუა-პონსეს.

ა. ა. გრომიკომ და ჟ. ფრანსუა-პონსემ სიტყვები წარმოთქვეს.

საუზმემ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკ.ფსს).

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა სანნობრივი საძიებელი

გამოვიდა „კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა მეორე გამოცემის საგნობრივი საძიებელი“ (2 წიგნად). იგი მოამზადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა.

ეს საცნობარო გამოცემა ასახავს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თეორიული და რევოლუციურ-პრაქტიკული მოღვაწეობის სიდიადეს, რომლებმაც გადატრიალება მოახდინეს კაცობრიობის საზოგადოებრივ შეგნებაში და სოციალიზმი უტოპიიდან მეცნიერებად გადააქციეს. საცნობარო გამოცემა შეიცავს მარქსიზმის ეკონომიკური მოძღვრების, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, პროლეტარიატის სოციალისტური რევოლუციის თეორიის კატეგორიებსა და ცნებებს, მარქსისა და ენგელსს შეხედულებებს კაცობრიობის ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე. საგნობრივი საძიებელი აწუქებს იმ პროცესს, თუ როგორ ყალიბდებოდა და ვითარდებოდა მარქსიზმი როგორც ერთიანი ინტერნაციონალური მოძღვრება მუშათა მოძრაობასთან, ხალხთა მატერიალური და სულიერი კულტურის ზრდასთან უშუალო კავშირით.

საგნობრივი საძიებელი დაეხმარება პროპაგანდისტებს, ლექტორებს, მასწავლებლებს, სტუდენტებს, ყველას, ვინც მარქსიზმის ფუძემდებელთა დიად მემკვიდრეობას სწავლობს. ცნობარი გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. (საკ.ფსს).

ᲫᲔᲒᲚᲘ ᲥᲕᲘᲗᲔ ᲮᲔᲚᲗᲣᲤᲛᲜᲔᲚᲘ...

ᲤᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲒᲖᲔᲑᲘ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡᲐ

ᲬᲔᲚᲡ მაისში სრულდება 150 წელი, რაც უდიდესი რუსი პოეტი, მსოფლიო გენიად აღიარებული ალექსანდრე პუშკინი საქართველოში ჩამოვიდა. მეფის ჟანდარმების მიერ დევნილი, იგი აქეთ ესწრაფოდა, რათა ეცქინა კავკასიის ხალხთა თავისუფლებისმოყვარე სული, ეხილა ჩვენი ქვეყნის დიდებული ბუნება, მოენახულებინა რუსეთის ამ „თბილ ციმბირში“ გადმოსახლებული დეკაბრისტები — თანამოზრანი, ახლობლები, მეგობრები.

1829 წლის 26 მაისს დაადგა პუშკინმა ფეხი საქართველოს მიწაზე, გამოიარა მთელი საქართველოს სამხედრო გზა და 27 მაისს უკვე თბილისში იყო. „თბილისში თითქმის ორ კვირამდე დაყოვნება გავიცანი იქაური საზოგადოებრიობა“, — წერდა პოეტი. შემდეგ არზრუმს გაემგზავრა, იქიდან კვლავ თბილისში დაბრუნდა, სადაც რამდენიმე დღეს დარჩა „თავაზიან და მხიარულ საზოგადოებაში. რამდენიმე საღამო ბაღებში გავატარე და ფუსმენდი ქართულ მუსიკასა და სიმღერებს“. შემდეგ კი რუსეთს მიაშურა.

ამ მოგზაურობის შედეგად პუშკინმა შექმნა რუსული პოეზიისა და პროზის განუმეორებელი შედევრები — „საქართველოს მთებზე“, „კავკასია“, „ბონაპარტი მყინვარზე“, „ზვავი“, „მოგზაურობა არზრუმს“ და სხვ.

დიდებულმა კავკასიამ, ნ. გოგოლის თქმით, კიდევ უფრო გამოაღვიძა პუშკინის უდიდესი სულიერი ძალა. „ამ დროიდან მისმა ყალამმა მოიპოვა ფართო გაქანება“, იგი „უფრო ეცხლოვანი და მგზნებარეა იქ, სადაც მისი სული სამშობლოს შეეხო“.

ჩვენს, ქართველთა, სულიერ სამყაროში ორგანულად არის შესული პუშკინის ლიტერატურული მემკვიდრეობა, იგი ქართველი კაცის გულისა და გონების მუდმივი თანამგზავრია. თავის დროზე ხომ ბ. ბელინსკიც აღნიშნავდა, რომ „პუშკინი იყო თავისი დროის არა მხოლოდ დიდი რუსი პოეტი, არამედ აგრეთვე ყველა ხალხის და ყველა საუკუნის დიდი პოეტი, ევროპის გენია, მსოფლიოს დიდება“.

ქართველი ხალხი ყოველთვის უდიდეს სიყვარულსა და პატივისცემას ავლენდა პუშკინისადმი.

ჯერ კიდევ პუშკინის სიცოცხლეში ცნობილი ქართველი მანდილოსანი მანანა ორბელიანი ერთ ქერძო წერილში ეკედრებოდა დიდებულ ქართველ პოეტს გრიგოლ ორბელიანს, ეთარგმნა პუშკინის „რუსლანი და ლუდმილა“ „ისე ძლიერად, როგორც რუსულად არის დაბეჭდილი... შეი ჭირიმე, სადაც იყოს მიშოვე და მითარგმნე, ყმაწვილო!“

გრიგოლ, ეტყობა, ამ თხოვნას ვერ უსრულებდა და მანანა მეორე წერილშიც მრმხობლავი უბრალოებით წერდა: „გთხოვ, გრიგოლ, თუ ქისები და წინდები გინდა, ხომ კიდეც დამპირდი წიგნის თარგმნასა, და შემისრულე ჩემი თხოვნა, ბენაკცალე!“ თანაც ეუხსნიდა: „თუ გინდა შეიტყო ეს სახელი ვინ მასწავლა, მე მითარგმნეს ჩვენმა ქალებმა წინანდალში“. ძნელი მისახვედრი არ არის, ვინ იქნებოდნენ ეს „წინანდლელი ქალები“: ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახის წევრები — მეუღლე, ქალიშვილები და ახლობლები. ამ ოჯახში პოეტის ძმა ლევ პუშკინი დადიოდა, უფროსი ასული ნინო გრიბოედოვის ქვრივი იყო და, საერთოდ, ეს ოჯახი რუსეთისა და საქართველოს მოწინავე ადამიანთა დამაკავშირებელ ცენტრს წარმოადგენდა.

თვით ალექსანდრე ჭავჭავაძე ისე ჩავიდა საფლავში, თავისი ლექსის ერთი სტრიქონი დაბეჭდილი არ უნახავს, ერთადერთი, რაც ამ დიდი ქართველი რომანტიკოსისა დაიბეჭდა, სწორედ პუშკინის ლექსის თარგმანი იყო. ასე დაეწინდა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურას დასაწყისშივე პუშკინის სახელი. იმ საუკუნის გასვლის ჟამსაც ხომ პუშკინის სახელი და სიტყვა აეღორდა ქართულ პრესაში, როცა 1899 წელს პოეტის დაბადების მე-100 წლისთავი იზეიმეს. ოღონდ ამჯერად იგი მეორე ჭავჭავაძემ — დიდმა ილიამ ააღვარა. ილიას „იერარია“ წერდა:

„ქართველთათვის პუშკინის მნიშვნელობა დიდია: ამ სამოცდაათი წლის განმავლობაში ისეთი ჩამომავლობა არ ყოფილა საქართველოში, რომელსაც რაიმე ეს წავლოს და პუშკინის მუზას არ დასწაფებოდეს“.

პუშკინის დაბადების მე-100 წლისთავი მთელმა საქართველომ იდღესასწაულა, თბილისში ხომ მთელი ხალხი ფეხზე იდგა. „ივერიამ“ ასე აგვიწერს ამ დღესასწაულს:

„ბუშინ 26 მაისს, ტფილისმა დიდის ამბითა იდღესასწაულა პუშკინის დაბადებიდან ასი წლის დღე... დეპუტატები და მოსწავლენი, ეკურნალ-გაზეთებია და სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლნი და ამჰარნი რიგრიგად ეკიმართნენ პუშკინის სკვერისაკენ, სადაც პოეტის ძეგლი დგას. ამავე წესით მოდღესასწაულენი შედიოდნენ ბაღში და გვირგვინებით ამკობდნენ პოეტის ძეგლს. ამ დროს მღეროდა ხორო სლავიანსკისა და უკრავდა სამხედრო მუსიკა... პირველი და მეორე გიმნაზიის მოსწავლეებმა წაიკითხეს თითო ლექსი პოეტის სადიდებლად. შემდეგ გაუარეს ძეგლს ყველა სასწავლებლის მოსწავლეებმა.. მთელი ძეგლი პოეტისა გვირგვინებით დაიფარა. პუშკინის ბაღი შემკული იყო ბაირაღებითა და ხეებიანს ყვავილებით. იმ ქუჩებში, რომელზედაც პროცესიამ გაიარა, აუარებელი ხალხი იდგა“... პოეტისადმი მიძღვნილი სახალხო ზეიმი მოეწყო ქუთაისში, თელავში, დუშეთში, ბაღდათში...“

ისიც გავიხსენოთ, რომ პუშკინის ბიუსტი, რომელიც ახლაც დგას პუშკინის სახელობის სკვერში, თბილისის მოქალაქეთა შორის შეგროვილი ფულით აიგო...

პუშკინის საქართველოში ჩამოსვლის 150 წელი სრულდება. ამ თარიღს ზუსტად ემთხვევა პოეტის დაბადების მე-180 წლისთავი (26 მაისი, ახალი სტილით — 6 ივნისი). ამ ორმაგ თარიღს ქართველი ხალხი, დიახაც რომ, ღირსეულად იზეიმებს!

მაგრამ ჩვენი ზნეობრივი ვალდებულებაა განსაკუთრებულად აღინიშნოს პოეზიის, ჰუმანიზმისა და ერთა ძმობის ეს დიადი დღესასწაული. ვფიქრობ, სწორედ შესაფერი იქნება გამოცხადდეს კონკურსი სკულპტურული კომპოზიციის შესაქმნელად „პუშკინი საქართველოში“, ხოლო 27 მაისს, კვირას, საზეიმოდ ჩაეყაროს საძირკველი მომავალ ძეგლს სათანადოდ შერჩეულ ადგილზე.

თენგიზ ბუაჩიძე,
პროფესორი, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

რედაქციისაგან: პროფესორ თენგიზ ბუაჩიძის წერილს რომ ბეჭდავს, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია აღიარებს აღნიშნული საკითხის ფართო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ეღერადობას. მით უმეტეს ახლა, როცა ჩვენს რესპუბლიკაში უკვე დაიწყო სამზადისი გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავის საიუბილეოდ. ა. ს. პუშკინის საქართველოში პირველად ჩამოსვლის 150-ე წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნა კიდევ ერთი ნათელი ფურცელი იქნება რუსი და ქართველი ხალხების, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მეგობრობის დიადი წიგნისა. ჩვენში ყოველთვის გამორჩეული სიყვარულით იყო გარემოსილი „რუსული პოეზიის მზის“, დიდი პოეტისა და მოაზროვნის ა. ს. პუშკინის სახელი, მისი უკვდავი შემოქმედება. ნიშანდობლივია, მაგალითად, თუნდაც ის, რომ გამომცემლობა „ნაკადული“ თავისი ინიციატივით უკვე ამზადებს წიგნს, რომელშიც აისახება დიდი პოეტის პირველი სტუმრობა საქართველოში, მისი დამოკიდებულება ქართულ კულტურასთან, ქართულ სამყაროსთან. მაგრამ ამ მოვლენას რომ უფრო ორგანიზებული ხასიათი მიეცეს, რედაქცია ფიქრობს: შესაბამისმა ორგანიზაციებმა — საქართველოს მწერალთა, მხატვართა, არქიტექტორთა კავშირებმა, რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა დაუყოვნებლივ უნდა განიხილონ წერილში აღძრული საკითხი და დასახონ სათანადო ღონისძიებანი, რათა პრაქტიკულად შეესახოს ხორცი ავტორის საყურადღებო წინადადებას სკულპტურული კომპოზიციის — „პუშკინი საქართველოში“ შექმნის თაობაზე.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრკ მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

იმ მიზნით, რომ საჭირო საწარმოო და საბინაო პირობები შეექმნას დაუსახლებელ ადგილებში განლაგებული ობიექტების და დიდი წრფივი სიგრძის ობიექტების მშენებლობაზე გასაგზავნ მუშაკებს, დადგენილებით დაწესებულია ტიპობრივი ინვენტარული შენობებისა და სათავსების (მოძრავი, კონტეინერული და მთლიანად გადასაზიდი) საქარხნო წარმოების ორგანიზაციის, მათი ხარისხის გაუმჯობესების 1979-1980 წლების დავალებანი.

ნებადართულია სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების მუშაკებისათვის ტიპობრივი მოძრავი ვაგონსახლებისა და სხვა ინვენტარული შენობებისა და სათავსების შეძენა, აგრეთვე წითელი კუთხეების მშენებლობა ობიექტების მშენებლობის ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებული დროებითი შენობებისა და ნაგებობების სახსრების ხარჯზე.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, ცენტროსოიუზს, სსრ კავშირის სხვა სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უზრუნველყონ, რომ 1979 წელს შემუშავდეს და განხორციელდეს მშენებლობებზე საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებანი. ამასთან მხედველობაში იქონიონ სასადილოებისა და ბუფეტების გამტარუნარიანობის გადიდება, კერძების მომზადების ხარისხის გაუმჯობესება, დასარიგებელი პუნქტების შექმნა, აგრეთვე სამრეწველო საქონლის მიმოსვლითი ვაჭრობის ორგანიზაციის ღონისძიებანი.

მშენებელთა სამედიცინო დახმარების გაუმჯობესების მიზნით სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც მშენებლობას ახორციელებენ, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად უზრუნველყონ, რომ 1979-1985 წლებში აუშენონ სამედიცინო-სანიტარიული ნაწილები მსხვილ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებში, აგრეთვე კიდევ უფრო განვითარონ საამქრო სამკურნალო უბნებისა და საფერშლო პუნქტების ქსელი.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წინადადება მიეცა გააძლიეროს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობა მშენებლობაში შრომის დაცვის წესებისა და ნორმების შესრულებისადმი.

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს დაეკისრა სსრ კავშირის სამშენებლო სამინისტროების ტექნიკური მოთხოვნებით შეიმუშაოს სპეციალური კოსტრუმები (მამაკაცისა და ქალის) მოდელები მშენებლებისათვის, მათ შორის ცხელი კლიმატისა და დაბალი ტემპერატურის პირობებში მომუშავეებისათვის, აგრეთვე შემდეგ ელბლებისათვის, და 1979-1981 წლებში მოაწყოს ამ ტანსაცმლისა და სპეციალური ფეხსაცმლის სამრეწველო გამოშვება ცხელი კლიმატის პირობებში მომუშავე მშენებლებისათვის, აგრეთვე ყინვაგამძლე ძირითები ფეხსაცმლისა და ელექტროგათბობის მქონე ფეხსაცმლის გამოშვება.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც მშენებლობას ახორციელებენ, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაავალა შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა:

შესრულდეს კაპიტალური მშენებლობის გეგმები, შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებანი, შემცირდეს მუშათა კადრების დენადობა და გაუმჯობესდეს სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია;

განმტკიცდეს შრომისა და საწარმოო დისციპლინა; აღმოიფხვრას სამუშაო დროის დანაკარგები, შემცირდეს ხელის შრომა, ამაღლდეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მექანიზაციის დონე სამშენებლო ტექნიკის უკეთ გამოყენების გზით;

ფართოდ გავრცელდეს შრომის აკორდული ანაზღაურება როგორც მშენებლობაში შრომის ანაზღაურების ძირითადი ფორმა, ბრიგადული იჯარა, საუკეთესო მშენებლობების, მოწინავე კოლექტივებისა და წარმოების ნოვატორების გამოცდილება;

ამაღლდეს მთავარი ინჟინრების, სამუშაოთა მწარმოებლების, ოსტატებისა და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების სხვა ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების პასუხისმგებლობა სამშენებლო წარმოების მომზადებისა და ორგანიზაციისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებათა შესრულებისათვის, შრომის ნორმირებასა და ანაზღაურებაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის;

შეიქმნას პირობები ბრიგადების დიდნაყოფიერი მუშაობისათვის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო მასალებით, მცირე მექანიზაციის საშუალებათა, ინსტრუმენტის, ინვენტარისა და სამარჯვების კომპლექტებით მათი დროული უზრუნველყოფისათვის.

სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტსა და სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს დაევალათ გაზარდონ ფილმების გამოშვება და რადიოთი და ტელევიზიით გადაცემების რიცხვი მშენებლობების, მოწინავე კოლექტივებისა და წარმოების ნოვატორების მუშაობის, ბრიგადული იჯარისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის გამოცდილების, კვალიფიციური მშენებელი მუშების მომზადების შესახებ.

სსრ კავშირის გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა გააფართოოს მშენებელთა შესახებ ლიტერატურის გამოცემა, უზრუნველყოს რომ 1979-1980 წლებში მასობრივი ტირაჟით გამოვიდეს ბროშურები და პლაკატები მშენებელთა ცხოვრების, ჰეროიკისა და ყოფის შესახებ.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოთქვეს რწმენა, რომ სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების ხელმძღვანელები და მუშაკები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა უზრუნველყონ მშენებლობები მაღალკვალიფიციური კადრებით, შექმნან საჭირო პირობები მშენებლობაში მათი შენარჩუნებისათვის და მთელ ძალღონეს მოახმარენ სკკპ XXV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მიერ კაპიტალური მშენებლობის დარგში დასახული ამოცანების უოუო შესრულებას.

მაღალი მიზნისათვის

ამომარჩეველთა შეხვედრა თ. ნ. მენთეშაშვილთან

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 164 თბილისის ოქტომბრის საარჩევნო ოლქის მშრომელთა მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები 12 თებერვალს შეკრიბნენ სსაქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის საქმე დარბაზში. აქ გაიმართა შეხვედრა ამ ოლქში დეპუტატობის კანდიდატთან — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანთან **თენგიზ ნიკოლოზის ძე მენთეშაშვილთან.**

შეხვედრა გახსნა პარტიის თბილისის ოქტომბრის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ი. აზიროვმა. მან ხაზი გაუსვა, რომ რაიონის მშრომელებში ცხოველი გამოხმაურება გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის წინასაარჩევნო მიმართვამ, რომელიც საბჭოთა კავშირის ყველა ამომრჩეველსა და ყველა მოქალაქეს მოუწოდებს ხმა მისცენ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს. მიმართვაში ჩამოყალიბებული დებულებანი და დასკვნები, პარტიის მომავლის გეგმები აღფრთოვანებით აღიქვეს თბილისელებმა, რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონის მშრომელებმა. მათ ახალი მძლავრი იმპულსი მიანიჭეს მომდინარე წლის, მთელი ხუთწლედის დავალებათა, ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ გაშლას.

შეხვედრის მონაწილეებმა ერთსულოვნად, უდიდესი აღმავლობით აირჩიეს სპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

ტრიბუნაზეა დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირი, „თბილისგვირაბმშენის“ გვირაბგამყვანთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ა. ი. დათაშვილი. მან შეკრებილთ გააცნო თ. ნ. მენთეშაშვილის ბიოგრაფია, ილაპარაკა მის პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეობაზე, იმაზე, თუ რა ბევრ ძალ-ღონესა და ენერგიას ახმარს იგი საქართველოს დედაქალაქის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების წარმატებით გადაწყვეტას. ორატორმა მოუწოდა თბილისის ოქტომბრის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველს 4 მარტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს, ხმა მისცენ ხალხის ღირსეულ წარმომადგენლებს.

შეხვედრაზე გამოვიდნენ აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ვ. ცაციშვილი, ყაზბეგის საშაოალო სკოლის პედagogი ლ. ნ. სამხანაშვილი, გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორი ა. ს. სულაკაური, სამხედრო მოსამსახურე ს. ი. კუხლიევსკი, დუშეთის რაიონის სოფელ მაღაროსკარის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის ოპერატორი რ. გ. ბაიაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი მ. ნ. ცინცაძე.

ორატორებმა სიამაყით ილაპარაკეს პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობაზე, რასაც შესანიშნავად ცხადყოფს ახლანდელი საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობა, იმ უდიდეს ცვლილებებზე, რომლებიც წინა არჩევნების შემდეგ მოხდა. აღნიშნეს წარმატებანი, რომლებთაც ეგებებიან მშრომელები სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებს. მათ განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი, რომ ამ საარჩევნო ოლქში შემავალი რაიონების მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მთლიანად და სავსებით იწონებენ ჩვენი პარტიის ლენინურ კურსს. ძალ-ღონეს არ ზოგავენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

სიტყვა წარმოთქვა თ. ნ. მენთეშაშვილმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. მან ოლქის ყველა ამომრჩეველს გულითადი მადლობა მოახსენა დიდი ნდობისა და პატივისათვის. ამ ნდობას, თქვა მან, სავსებით მივაკუთვნებ მშობლიურ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რესპუბლიკურ პარტიულ ორგანიზაციასა და დედაქალაქის საქალაქო კომიტეტს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, თქვა ორატორმა, ჩვენი სამშობლოს ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივ - პოლიტიკური მოვლენაა, საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის, ნამდვილი სახალხო ხელისუფლების ბრწყინვალე გამოვლინებაა. არჩევნებისათვის მზადება ყველგან მიმდინარეობს მაღალი აქტიურობის, სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს გარშემო მშრომელთა მჭიდრო შეკავშირების ვითარებაში.

დეპუტატობის კანდიდატმა ილაპარაკა ბრძოლისა და გამარჯვებათა იმ სახელოვან გზაზე, რომელიც ამ ბოლო წლებში განვლეს საქართველოს მშრომელებმა, და აღნიშნა, რომ ამ გზაზე გადადგმული ყოველი ნაბიჯი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილებით მოწმდება. მან ხაზი გაუსვა, რომ სწორედ ამ დადგენილებამ მისცა დასაბამი იმ მასშტაბურ და ძირეულ ცვლილებებს, დადებითს სოციალურ პროცესებს, რომელთა შედეგად შესამჩნევად გაჯანსაღდა მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, განმტკიცდა დისციპლინა და მიღწეულია დიდი წარმატებანი რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

აღნიშნა თ. ნ. მენთეშაშვილმა სიამაყის გრძნობით ილაპარაკა იმაზე, რომ განვლილი 1978 წლის შედეგების მიხედვით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის საქართველოს სს რესპუბლიკა ზედიზეო მეექვსედ დაჯილდოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. ეს, თქვა მან, ხუთწლედის მესამე, დამკვრელურ წელს რესპუბლიკის ყველა [illegible] და რაიონის მშრომელთა [illegible] ლი, თავდადებული [illegible] შედეგია. მან განსაკუთრებით გა[illegible]უსვა ხაზი წვლილს, რომელიც ამ გამარჯვებაში შეიტანეს საარჩევნო ოლქში შემავალი დუშეთისა და ყაზბეგის მაღალმთიანი რაიონების მშრომელებმა, და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იმ თვალსაზრისო სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს, რომლებიც წინა არჩევნების შემდეგ განვლილი წლების მანძილზე მოხდა ამ რეგიონების ცხოვრებაში.

თ. ნ. მენთეშაშვილმა გააშუქა საქართველოს დედაქალაქში, კერძოდ, მის ოქტომბრის რაიონში მომხდარი არსებითი გარდაქმნები და დაწვრილებით შეეხო ზოგიერთ აქტუალურ საკითხს, რომლებიც ამას წინათ განხილა თბილისის XXXVII საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ, სადაც ვრცელი საპროგრამო სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ. აღინიშნა წარმატებანი, რომლებიც პრაქტიკულად ქალაქის ცხოვრების ყველა სფეროშია მიღწეული, კონკრეტულად აღინიშნა გადასაწყვეტი პრობლემები, ის ამოცანები, რომლებიც ოქტომბრის რაიონისა და რესპუბლიკის დედაქალაქის კომუნისტების, ყველა მშრომელის წინაშე დგას. ყოველივე ის, თქვა მან, რასაც მივაღწიეთ, და ყველაფერი, რაც მომავალში უნდა „გავაკეთოთ, ემსახურება ჩვენი სოციალისტური საზოგადოების უმთავრეს, უმაღლეს მიზანს — ადამიანზე, მის კეთილდღეობაზე ზრუნვას.

დასასრულ თ. ნ. მენთეშაშვილმა ერთხელ კიდევ გულითადი მადლობა გადაუხადა ამომრჩეველს მაღალი ნდობისათვის და აფუთქვა, რომ ყველაფერს იღონებს, რათა მთლიანად გაამართლოს იგი, ღირსეულად შეასრულოს მათი განაწესები, დეპუტატის მაღალი მოვალეობანი. (საქინფორმი).

სიახლე: რაც კარგია

აგიტატორები და ამომრჩეველთა განაწესი

თბილისში, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, სამედიცინო ინსტიტუტის შენობაში მოთავსებული აგიტპუნქტი, რომელიც № 48 საარჩევნო უბანს ემსახურება. მისი გამგეა სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის დოცენტი რ. ქურიძე.

უბანში შეიქმნა ხუთი აგიტკოლექტივი, რომელშიც 60 აგიტატორი გაერთიანდა. მათ უნარიანად ხელმძღვანელობენ გ. კიკნაძე, თ. კაციტაძე, ნ. ხომასურიძე, ა. კეკელიძე და ლ. სარიშვილი.

წინა არჩევნების დროს ჩვენს უბანში 2.500 ამომრჩეველი იყო, — ამბობს რ. ქურიძე, — ახლა 3.000-მდე ამომრჩეველია.

აგიტპუნქტის მუშაობაში არის კიდევ ერთი სიახლე: დაწესდა იმის მტკიცე კონტროლი, რომ აგიტატორებს ჰქონდეთ აგიტსაუბრების აღრიცხვის რვეული, სადაც მოცემულია საადგიტაციო უბნის თემები, დამსწრეთა აღრიცხვა, მსმენელთა მიერ დაყენებული საკითხების ზუსტი აღნუსხვა, რომელთაც სათანადო ორგანოების წინაშე აყენებენ უსწრაფესი რეაგირებისათვის.

აგიტპუნქტის მუშაკთა ნახელავია სამედიცინო ინსტიტუტის ორი კორპუსის შესასვლელებთან წითელ ქსოვილზე თეთრად აქათქათებული წარწერები: „საარჩევნო უბანი № 47/47, № 48/48“; „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი 660“; „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი 165“. ეს წარწერები ამომრჩეველს იზიდავენ.

ს. ყურაშვილი.

საბჭოეთის [illegible]

[illegible]

ბაკურიანი. [illegible] ბაკურიანი [illegible] ტურის სასახლესთან შეიქმნა საბერძნეთის ცოდნის კლუბი. პირველი ლექცია საბჭოთა საარჩევნო უფლების შესახებ მოისმინა 200-ზე მეტმა ახალგაზრდა მენავთობემ, მშენებელმა, მეზღვაურმა. დასახულია ახალგაზრდობის შეხვედრები შრომის გმირებთან, ომის ვეტერანებთან, მწერლებთან, მსახიობებთან. დიდი ადგილი აქვს დათმობილი მუშათა პროფესიული ოსტატობისა და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებას. ახლა დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში, კომუნისტური შრომისა და მოწინავე გამოცდილების სკოლებში სამმართველოს ასობით ახალგაზრდა მუშა მეცადინეობს. (საკდესი).

● **ლვოვი.** დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში აფსკიანმა ფარმაცევტებმა „პროფესია შეიცვალეს“. ახლა მათ იყენებენ საადრეო კარტოფილის თესლის გასაღივებლად. მიწათმოქმედებმა ექვს ცენტნერამდე კარტოფილი დათესეს. ეს მეთოდი ხელს შეუწყობს იმას, რომ აპრილში დაიწყება „მეორე პურის“ თესვა. წელს ლვოვის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის ტრესტის 12 მეურნეობა მნიშვნელოვნად გაადიდებს საადრეო კარტოფილის ნათესების ფართობს.

(საკდესი)

საპატიო წოდება მიენიჭებათ

მოსკოვი. (საკდესი) რუსეთის სფსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაიწესა სპატიო წოდება „რსფსრ გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დამსახურებული მოღვაწე“. ეს წოდება მიენიჭებათ მუშაკებს, რომელთაც დიდი დამსახურება აქვთ ტოპოგრაფიულ-გეოდეზიურ და კარტოგრაფიული წარმოების განვითარებაში და განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საწარმოო დავალებათა შესრულებაში, სამეცნიერო-კვლევითს მოღვაწეობაში და კადრების მომზადებაში. მშრომელებს, რომელთა ეს სპატიო წოდება მიენიჭებათ, გადაეცემათ რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი და სამკერდე ნიშანი, რომელის შუბლზე გამოსახულია დედამიწის სფეროს კარტოგრაფიული პროექცია, აგრეთვე გეოდეზიური ინსტრუმენტი — თეოდოლიტი და წარწერა — „რსფსრ გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დამსახურებული მუშაკი“. სამკერდე ნიშნის უკანასკნელზე გამოსახულია რუსეთის ფედერაციის გერბი.

მოვდივართ და მოვიმღერით

ჯ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზსა და მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში სადღესასწაულო კონცერტებით აღნიშნა თავისი 25-ე წლისთავი ხალხურმა კოლექტივმა — მოსკოვის ოლქის ქალაქ ჟელეზნოდოროჟნის საგუნდო სტუდიამ „პიონერიამ“ — საბჭოთა ახალგაზრდობის საკავშირო ფესტივალის ლაურეატმა.

პატარა სასკოლო გუნდის ბაზაზე შექმნილი სტუდია სანიმუშო შემოქმედებითს კოლექტივად გადაიქცა, სადაც ახლა ხუთასი ბავშვი მეცადინეობს. „პიონერია“ საგუნდო სტუდიებისა და საგუნდო სკოლების მოძრაობის — ბავშვთა მასობრივი ესთეტიკური აღზრდის ახალი ფორმის — ნამდვილი პიონერი გახდა. აქ მუსიკალური „ვუნდერკინდი ბი“ კი არა, ყველაზე ჩვეულებრივი ბავშვები მეცადინეობენ, რომლებსაც უყვართ სიმღერა და მუსიკალური საკრავები.

სტუდიის რეპერტუარ შიარუსული და მსოფლიო საგუნდო კლასიკა, მსოფლიოს ხალხთა სიმღერები. ბევრი საბჭოთა კომპოზიტორი ანდობს ბავშვებს მეცადინეობენ, რომლებსაც უყვართ სიმღერა და მუსიკალური საკრავები.

სტუდიის რეპერტუარ შიარუსული და მსოფლიო საგუნდო კლასიკა, მსოფლიოს ხალხთა სიმღერები. ბევრი საბჭოთა კომპოზიტორი ანდობს ბავშვებს თავისი ნაწარმოებების პირველ შესრულებას.

„პიონერია“ დააარსა და 25 წელია მას ხელმძღვანელობს საგუნდო დირიჟორი და კომპოზიტორი, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი გ. ა. სტრუევ.

სურათზე: „პიონერია“ მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში.

ვ. ხუდიაკოვის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).



არჩევნების შესახვედრად

ამ დღეთა სულისკვეთება

ახალი ვალდებულებით

გაგდბანი. ახალი შრომითი საჩუქრებით შევხვდეთ არჩევნების დღეს! ამ დევიზით შრომობენ კრწანისის სასწავლო-ექსპერიმენტული საბჭოთა მეურნეობის მშრომელები,

ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს არჩევნების დღისათვის მთლიანად დავამთავროთ ტრაქტორების, მისაბმელი იარაღ-მანქანების რემონტი, ვადამდე მოვიმარაგოთ საგაზაფხულო კულტურების ყველა სახეობის თესლი, სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა-ვალდებულება შევასრულოთ 4 მარტისათვის.

გ. დალაქიშვილი,
გარდაბნის რაიონის კრწანისის სასწავლო-ექსპერიმენტული საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ეს დღეები დამკვრელურია

ცხინვალი. ჩვენი ცხოვრების წესად იქცა, რომ ყოველ ღირსშესანიშნავ მოვლენას ახალი შრომითი ნობათებით შევხვდეთ.

ზამთრის ეს დღეები დამკვრელური შრომით აღინიშნება ერედვის საბჭოთა მეურნეობაში. შემოდგომის ნათესებში, ხეხილის ბაღებში შეგვაქვს სასუქები, საფუძველს ვუყრით წლის უხვ მოსავალს.

ჩვენი ბრიგადის წევრები ყოველ მეორე დღეს ვიკრიბებით, ვსაუბრობთ ჩვენს მომავალ ამოცანებზე, კიდევ ერთხელ გულდასმით ვეცნობით სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მასალებს, ვსწავლობთ საარჩევნო კანონს, საბჭოთა კონსტიტუციის ცალკეულ დებულებებს.

ი. გოცაძე,
ცხინვალის რაიონის სოფელ ერედვის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, აგიტატორი.

მხოლოდ გადაჭარბებით

თელავი. არჩევნებისა თვის მზადების სულისკვეთებით სუნთქავს ჩვენი კოლექტივი. ყოველმა მუშამ პირადი ვალდებულება იკისრა ამ დღის შესახვედრად. ვშრომობთ დამკვრელურად, ამასთან ვიმალლებთ ჩვენი იდეური ცოდნის დონეს.

ფაბრიკაში გაჩნდა ახალი ტრანსპარანტები, ლოზუნგები, ეწყობა საუბრები, იმართება ლექციამოხსენებები ჩვენი საარჩევნო სისტემის, მის სიახლეთა შესახებ.

არჩევნების შესახვედრად ნაკისრი ჩემი ვალდებულებაა ის, რომ ყოველი დღის დავალება 10 პროცენტის გადაჭარბებით გავანაღდო. ასეთივე ვალდებულებით შრომობენ ჩემი კოლეგებიც.

მ. ყანჩელიშვილი,
თელავის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის მუშა.

მიზანი — მტკიცე დისციპლინა

კასპი. განვლო დისციპლინის განმტკიცების ორთვიურის პირველმა პერიოდმა, რომელიც ახალ წელიწადს არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით დაიწყო ჩვენს კოლექტივში. სანიმუშო დისციპლინისათვის ლაშქრობა გრძელდება. შედეგებს 4 მარტს შევაჯამებთ.

საამქროებსა და ბრიგადებში გაზრდილი ვალდებულებანი ნაკისრი და შეჯიბრება მიმდინარეობს დევიზებით: არც ერთი გამცდენი, არც ერთი დამგვიანებელი ჩვენ გვერდით, დრო ძვირად ფასობს!

ორთვიურის პირველმა პერიოდმა გვიჩვენა, რომ უბნებსა და ბრიგადებში მნიშვნელოვნად გაუმტკიცდა შრომის დისციპლინა, შემცირდა წუნი, სამუშაო დროის დანაკარგები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კოლექტივი უთუოდ შეასრულებს არჩევნების შესახვედრად ნაკისრი ყველა ვალდებულებას.

ს. ბინთარიძე,
კასპის ელექტროაპარატურის ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანი.

ყველა — როგორც ერთი

ჩხოროწყუ. ჩაის-პლანტაციებში სამუშაოები არ წყდება, და ყოველ ცისმარე დღეს მიღწეულ წარმატებას ჩვენი მშრომელები არჩევნებს უძღვნიან. ასეთი გადაწყვეტილებით შეუდგნენ ისინი მუშაობას, როცა არჩევნების ღირსეულად შეხვედრისათვის ვალდებულებები იკისრეს.

ჩაის პლანტაციებში მიმდინარეობს მწკრივთშორისი ბარვა, შეგვაქვს სასუქები, ვახდენთ დრენაჟირებას. ნორმალურად იზამთრებს პირუტყვი, საკვებიც საკმარისი გვაქვს და ფერმებიც დათბენებულ-შეკეთებული.

ოთხ მარტს ჩვენ ყველა როგორც ერთი ხმას მივცემთ ხალხის ღირსეულ კანდიდატებს და უთუოდ ვუპატაკებთ მათ, რომ შეგასრულეთ არჩევნების შესახვედრად ნაკისრი ყველა ვალდებულება. ასეთია ჩვენი მშრომელების გულისთქმა.

ი. შენგელია,
ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ჭიათურა... მთების წიაღში ჩაძირულ ძვირფას განძთა მფლობელი, ზეგო იმერეთის ერთი ულამაზესი კუთხე, განთქმული მასპინძლობითა და ხელგაშლილობით.

ქალაქი — საჰაერო გზებით შეერთებული მთებით, მტრისა და მოყვრის დასანახად საამაყოზე გამოტანილი მიწის უთვალავი სიმდიდრით.

ცნობილი — საქვეყნოდ განთქმული მანგანუმით, გასხივოსნებული სინდისიერი, მშრომელი ხალხითა და მომავლის ნათელი რწმენით.

ჭიათურა...

ამ ქალაქიდან იწყება ჩემი ნარკვევის გმირის საქვეყნოდ აღიარება, მისი საქმის ღირსეული გამოჩენება. სწორედ ამ ქალაქმა იცის მკლავმოუღლელი კაცის შრომისა და სინდისის დაფასება. აქედან იბადება პეტრე ნიკოლოზის ძე ჭიტაძის მუშური ბიოგრაფია.

პეტრე ჭიტაძის პირველი ნაბიჯები სოფელ წიორქვალთან მოდის, სადაც დგას იმერულ ყაიდაზე, საბზოსკენ აივანგაშლილი მისი ორსართულიანი, კოხტად ნაგები ღია სახლი, სავსე ბავშვების მხიარული ყივილ-ხივილით.

ოთხი შვილის გაჩენით ოთხი სადღეგრძელო შევმატე ჩემს ოჯახურ სუფრას, დაიზრდებიან, ოთხი ვაჟკაცი ამოუდგება გვერდში სოფელს, ქვეყანასაც გამოადგებიან და თავის თავსაც, — ღიმილით მითხრა ცელქ ბიჭებს შუა ჩამდგარმა ბედნიერმა მამამ.

ჭიშკარი სახედაღარულმა ქალმა შემოაღო, შუბლი მოიჩრდილა, აივანზე მყოფებს ამოვიხედა.

— დედაჩემია, თორმეტი წელი ფერმის გამგედ იმუშავა, 1967 წლიდან დღემდე სოფლის კოლმეურნეობის ბრიგადირია, ორი სპპტიო ნიშნის ორდენის მფლობელი, — გაგვაცნო პეტრემ.

ვთხოვეთ ქალბატონ ელენეს ორიოდე სიტყვით ეამბნა თავის საქმიანობაზე. ამოიხვნეშა, როგორც ყველა სოფელი, ჩვენც მუშახელის ნაკლებობას ვუჩივით, ვენახების სხვლა, ჭაზის აკვრა, ჰიგოს დამზადება კარგა ხანია დავიწყეთ. იმ საქმეს, რომელსაც ახალგაზრდები ერთ კვირაში მოილევენ, ჩვენ მთელი თვე ვუნდებითო.

— თქვენი სოფლიდან ქალაქამდე ისეთი ცუდი გზა მიდის, ძალიან უნდა უფრიდეს კაცს, რომ აქაურობა მიატოვოს და ამ გზას დაადგეს, ქალაქში მუხლებამდე ამოთითხნილი რომ ჩავა, თვითონვე დაირცხვენს-მეთქი, შევეხუმრეთ.

არ დაგვეთანხმა, ვაი, რომ მარტო გზა არაფერ შუაშია, ყველა ბილიკი რომ მოგვიასფალტონ, სოფლიდან ქალაქში ახალგაზრდობის დენადობა მაინც არ შეწყდება. ეტყობა, სულ სხვა პრობლემების წინაშე ვდგავართო.

— დედაჩემს ვეთანხმები, — ჩაგვერთო საუბარში პეტრე, — ჩვენი მწერლები დღეს ძალიან ბევრს წერენ მიგრაციის შესახებ, აქედან გაქცეულებს გული რომ მოუბრუნონ, მაგრამ რა გზით დაუბრუნდეს მოხუცებს ინანაბარ მიტოვებული საკუთარ კედელუნრეს ზუგზშექცეული კაცი, ამ პრობლემებს, ჯერჯერობით ვერავინ მიაგნო. პირადად მე, გარდა იმისა, რომ ჭიათურის მანგანუმის სამთამადნო კომბინატის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთსამმართველოში გვირაბგამყვანად ვმუშაობ, კოლმეურნეობაში მოსავლელად გაპირობებული მაქვს ორი ათასი კვადრატული მეტრი ვენახი, ყოველწლიურად გადაჭარბებით მომყავს მოსავალი, რისთვისაც პრემიასაც ვღებულობ, მაგრამ ერთი და ორი მაგალითი კმარა? (როგორც შემდეგ შევიტყვეთ, თურმე პეტრე ჭიტაძე არც პირუტყვის მოვლა-მოშენების საკითხში ჩამორჩება ვისმეს, მან 1977 წელს 340 კგ. ხორცი მიჰყიდა სახელმწიფოს, ხოლო გასულ წელს — 200 კგ.).

პეტრე ჭიტაძის ავტობიოგრაფია მისსავე შუბლზე, შრომაში დაკორძილ ხელისგულებზე იკითხება. პატიოსნება ამის გულუბრყვილო გამოხედვაში ჩანს.

პეტრე ნიკოლოზის ძე ჭიტაძე 1939 წელს დაიბადა ჭიათურის რაიონში სოფელ წიორქვალში. ორი წლისას მოუსწრო ომმა. მოუბოდიშებლად წაართვა მამა და მარტოხელა დედისა და მასსავით ჩვილი ძმის ანაბარა დატოვა. ერთი გულისდამაიმედებელი წერილიც აღარ მიუღია, ბერე ფრონტიდან, ერთი გაცრეცილი სამკუთხა ბარათი არ შემორჩა ოჯახს სამახსოვროდ. მტერთან პირველსავე შეტაკების დროს დაიღუპა ნ

საერთაშორისო ცხოვრება

ნადირობა ნეიტრინოზე

1978 წლის მიწურულს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული კვლევის ინსტიტუტის ბაქსანის ნეიტრინული ობსერვატორიის მიწისქვეშა სცინტილაციურმა ტელესკოპმა აღრიცხა კოსმოსური წარმოშობის პირველი ნეიტრინოები, რომლებიც დედამიწის ატმოსფეროში აწვა წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილის თავზე და პლანეტაში გაიარა. ეს მოვლენა დასაბამს აძლევს სსრ კავშირში ასტროფიზიკური კვლევის ახალ მიმართულებას — ნეიტრინულ ასტრონომიას.

ნეიტრინო ერთადერთი ელემენტარული ნაწილაკია, რომელსაც ნივთიერებასთან მხოლოდ ეგრეთ წოდებული სუსტი ძალები აკავშირებს. ეს უდიდეს სიძნელეებს იწვევს მისი ექსპერიმენტული შესწავლის დროს. ნივთიერების ატომებთან ასეთი საშუალო ენერგიის ნაწილაკების შეჯახების ალბათობა იმდენად მცირეა, რომ ნეიტრინოს შეუძლია როგორც სეკარიელში, ისე გაიაროს მწკრივში ჩაყენებული რამდენიმე მილიონი დედამიწა. მაგრამ ასტროფიზიკოსებისათვის ნეიტრინოს მოუზელთებელობა ფასდაუდებელ ღირსებად იქცევა. ეს ნაწილაკები თავისუფლად გამოდიან ვარსკვლავების წიაღიდან და თან მოაქვთ უშუალო, ზუსტი, სხვა ნაწილაკებისა და ველების გავლენისაგან დაუმახინჯებელი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ბირთვულ რეაქციებში და რა პირობებში ბენენ ისინი.

ორმოცდაათიანი წლების დასაწყისს აკადემიკოს მ. ა. მარკოვის ინიციატივით დაიწყო კოსმოსური წარმოშობის ნეიტრინოების ნაკადების რეგისტრაციისა და შესწავლისათვის საბჭოთა კავშირში სპეციალური მიწისქვეშა ლაბორატორიების შექმნის პროექტების ფართო მეცნიერული განხილვა. ამის შედეგად იშვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული კვლევის ინსტიტუტის სამუშაოთა კომპლექსური გრძელვადიანი პროგრამა. იგი უსაზღვროეს ამოცანებად ისახავს შეისწავლოს ნეიტრინოები, რომლებსაც ასხივებენ მზე, კოლაფსირებადი ვარსკვლავები ან იშვებიან დედამიწის ატმოსფეროში.

თანამედროვე წარმოდგენათა მიხედვით ვარსკვლავების, კერძოდ, მზის შინაგანი ენერგიის წყაროა ბირთვული რეაქციები, რომელთა შედეგადაც მიმდინარეობს წყალბადისაგან ჰელიუმის თერმობირთვული სინთეზი. თუ მზე მართლაც ბუნებრივი თერმობირთვული რეაქტორია, იგი სრულიად გარკვეული ენერგიებისა და ინტენსიურობის ნეიტრინოების ნაკადს უნდა ასხივებდეს. მაშასადამე, მზისა და ვარსკვლავების ენერგოგამოყოფისა და შინაგანი აგებულების შესახებ ფუნდამენტურ საკითხზე პასუხი შეგვიძლია მივიღოთ ნეიტრინულ გამოსხივებაზე გეგმაზომიერი დაკვირვების პროცესში.

ვარსკვლავის სიცოცხლე — ეს არის განუწყვეტელი, მილიარდი წლების განმავლობაში დაპირისპირება მიზიდულობის ძალებისადმი, რომლებიც მის შეკუმშვას ცდილობენ. როცა ვარსკვლავების შინაგანი ენერგიის წყარო — სინთეზის თერმობირთვული რეაქციები — ამოიწურება, მაღალტემპერატურული პლაზმის დრეკადობის ძალები უკვე ვეღარ უწევენ წინააღმდეგობას მიზიდულობის ძალებს და ვარსკვლავი სწრაფი გრავიტაციული შეკუმშვის (კოლაფსის) რეჟიმში გადადის. ვარსკვლავების ევოლუციის ეს უკანასკნელი ფაზა ყველაზე დიდი იდუმალებით არის მოცული. როგორც თეორიიდან გამომდინარეობს, ვარსკვლავის გრავიტაციული შეკუმშვის შედეგად იგი შეიძლება გადაიქცეს ან თეთრ ჯუჯად, ან პულსარად. ყველაზე უდიდესი ვარსკვლავები, რომელთა მასა მრავალ ათეულჯერ აღემატება მზისას, შეიძლება გადავიდნენ „შავი ხვრელის“ თეორიულად დასაშვებ მდგომარეობაში. კოლაფსის ძალიან მოკლე დროში გამოთავისუფლდება უზარმაზარი ენერგია, რომელიც რამდენჯერმე აღემატება ვარსკვლავის ენერგოგამოყოფას თავისი ევოლუციის მილიარდი წლების მანძილზე. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი გამოიტყორცნება ნეიტრინოების ნაკადის ხანმოკლე ზხეფის სახით, რომელთა რეგისტრაციამ შეიძლება ნათელი მოჰფინოს სხვადასხვა მასის ვარსკვლავების ევოლუციის ბოლო სტადიების სურათს.

ნეიტრინული გამოსხივების შესახებ ექსპერიმენტული მონაცემების სწორი განმარტება თვით ნაწილაკების თვისებათა რაც შეიძლება სრულ ცოდნას მოითხოვს. საქმე ის გახლავთ, რომ მეცნიერებისათვის ცნობილია ორი ტიპის ნეიტრინო — ეგრეთ წოდებული ელექტრონული და მიუონური ნეიტრინოები, რომლებიც ერთმანეთისგან ნივთიერებასთან ურთიერთმოქმედების ზოგიერთი მახასიათებლით განსხვავდებიან. თეორიულად შესაძლებელია, რომ დედამიწისკენ მომავალ ელექტრონულ ნეიტრინოებს გზაში შეუძლიათ თვითნებურად გარდაიქმნენ მიუონურ ნეიტრინოებად. ამის შედეგად დედამიწაზე რეგისტრირებული ამ ნაწილაკების ნაკადი უფრო ნაკლები შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე ფაქტიურად წარმოქმნის მათ მზე. ამ პრობლემის გადაწყვეტაში გარკვეული წვლილი შეაქვს იმ ნეიტრინოების შესწავლას, რომლებიც ჩვენი პლანეტის ატმოსფეროში წარმოიქმნება ჰაერის ატომების ბირთვებთან კოსმოსური სხივების ურთიერთმოქმედების დროს და დედამიწაში გაივლის.

სხვადასხვა წარმოშობის ნეიტრინოს ნაკადების რეგისტრაციისა და შემდგომი ანალიზისათვის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული კვლევის ინსტიტუტი ყაბარდო-მალყარეთის ასს რესპუბლიკაში ქმნის ბაქსანის ობსერვატორიას, რომელსაც აქვს მიწისქვეშა ლაბორატორიები და ნეიტრინული ტელესკოპები. დანადგარების პროექტების, ექსპერიმენტების მეთოდიკის შემუშავებასა და ფიზიკურ კვლევაზე შრომობს ინსტიტუტის თანამშრომელთა დიდი კოლექტივი, რომელსაც ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ვ. ტ. ზაცეპინი და ა. ე. ჩუდაკოვი.

ახლა უკვე მუდმივი სამეცნიერო ექსპლოატაციისათვის არის გადაცემული მიწისქვეშა ლაბორატორია, რომელსაც აქვს სცინტილაციური ტელესკოპი — მიწისქვეშა ბირთვულ-ფიზიკური დანადგარი, რომელიც მსოფლიოში უდიდესია როგორც თავისი ზომით, ისე რეგისტრირებული ინფორმაციის მოცულობით. ეს არის ოთხსართულიანი შენობა, რომლის კედლები და გადახურვები 3.200 მოდულ-დეტექტორისაგან შედგება. იგი განლაგებულია 15 ათასი კუბური მეტრი მოცულობის საკაში, რომელსაც უზარმაზარი მთა იცავს კოსმოსური სხივებისაგან და სპეციალური ბეტონის საფარი — ბუნებრივი მაიონიზირებელი გამოსხივებისაგან. თითოეული დეტექტორისგან მიღებულ ინფორმაციის ერთდროულად და დამოუკიდებლად არეგისტრირებენ ელექტრონული მოწყობილობანი და შემდეგ დამშავების ცენტრი აანალიზებს ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის მეშვეობით. ამ დროს განსაზღვრავენ ნაწილაკების მოძრაობის მიმართულებას და შეაფასებენ მისი ენერგიის ქვედა ზღვარს.

ტელესკოპი აღჭურვილია ინსტიტუტში შემუშავებული მოწყობილობით და გათვალისწინებულია კოლაფსირებადი ვარსკვლავების ნეიტრინოების და ატმოსფერული ნეიტრინოების შესასწავლად. საგულისხმო მოვლენა — პირველი ნეიტრინოების რეგისტრაცია — ნიშნავს, რომ დაიწყო ექსპერიმენტული მონაცემების დაგროვების დიდი ხნის ნანატი პერიოდი. იგი მოწმობს პრობლემის გადაჭრისადმი სწორ მიდგომას, ექსპერიმენტული მეთოდიკების ეფექტიანობას, ინსტიტუტში შექმნილი სამეცნიერო აპარატურის საიმედოობასა და მაღალ დონეს.

ობსერვატორიაში მთავრდება ოთხკილომეტრიანი გვირაბის გაყვანა და დაიწყება ღრმა განლაგების ლაბორატორიების შენებლობის სამუშაოები. ამავე დროს ინსტიტუტში იქმნება რადიოქიმიური ქლორ-არგონისა და გალიუმ-გერმანიუმის ტელესკოპები.

პირველი მათგანი გათვალისწინებულია მზის ნეიტრინოების სპექტრის მაღალენერგეტიკული ნაწილის რეგისტრაციისათვის, რაც, კერძოდ, საშუალებას გვაძლევს გავზომოთ ჩვენი მნათობის ცენტრის ტემპერატურა. ნეიტრინოს დეტექტირების რადიოქიმიური მეთოდი წამოაყენა აკადემიკოსმა ბ. მ. პონტეკორვომ. ამ შემთხვევაში მეთოდის არსი ის არის, რომ ტელესკოპის კონტეინერმიზანში მოხვედრილი ნეიტრინო ქლორის ბირთვებს არგონის რადიაქტიურ ბირთვებად გადააქცევს. ასეთი გარდაქმნები უაღრესად იშვიათია, სამი ათასი ტონა მიზნის ნივთიერებიდან რამდენიმე ატომის გამოყოფის ფიზიკურ-ქიმიური პროცედურა ფრიად შრომატევადი და საკირკიტო საქმეა. ამიტომ, აქვე მიწის ქვეშ, განლაგებული იქნება არგონის ცალკეული ატომების გამოყოფისა და დათვლისათვის გათვალისწინებული ზემგრძნობიარე დანადგარი.

ქლორ-არგონული მეთოდი უკვე გამოიყენა ამერიკელმა ფიზიკოსმა რ. დევისმა. ამ ექსპერიმენტებმა გვიჩვენა, რომ დედამიწაზე მოსული მზის ნეიტრინოების ნაკადი არსებითად ნაკლებია გაანგარიშებულზე. მაშასადამე, მზის ცენტრში ფიზიკური პირობები, მაგალითად, ტემპერატურა, შეიძლება განსხვავებული იყოს თეორიით ნაწინასწარმეტყველებისაგან. ბაქსანის ქლორ-არგონის ტელესკოპი მნიშვნელოვნად მეტი მასშტაბისა და მგრძნობიარობის წყალობით საშუალებას მოგვცემს მივიღოთ სპექტრის ამ უბანში მზის ნეიტრინოს ნაკადების ზუსტი მნიშვნელობანი და დიდი საიმედოობით გავზომოთ მზის წიაღის ტემპერატურა.

საბოლოო პასუხი იმაზე, სწორია თუ არა თანამედროვე წარმოდგენები ჩვენი ვარსკვლავის მიერ ენერგიის გენერაციის შესახებ, შეიძლება მივიღოთ მხოლოდ ყველაზე დაბალი ენერგიების მზის ნეიტრინოების შესწავლის შედეგად. მათი რეგისტრაციის მეთოდი დამუშავა ბირთვული კვლევის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ვ. ა. კუზმინმა და საფუძვლად უდევს ნეიტრინოს მოქმედებით გალიუმის ბირთვების გერმანიუმის ბირთვებად გარდაქმნის გამოყენება. ლაბორატორიული ცდები დამაიმედებელი აღმოჩნდა, და ინსტიტუტში უკვე იქმნება გალიუმ-გერმანიუმის ტელესკოპი, რომელიც შეიცავს რამდენიმე ათეულ ტონა გალიუმს. ამ ცდებში ნეიტრინოების გაანგარიშებული ნაკადის რეგისტრაცია გახდება იმის საბუთი, რომ მზე ბუნებრივი თერმობირთვული რეაქტორია. ისევ დაგვრჩენია დავსძინოთ, რომ ამგვარი ექსპერიმენტები ჯერ არსად არ განხორციელებულა მსოფლიოში.

ბაქსანის ნეიტრინული ობსერვატორია მრავალმიზნობრივი სამეცნიერო კომპლექსია. მისი მიწისქვეშა ლაბორატორიები საიმედოდ არის დაცული კოსმოსური სხივებისა და ბუნებრივი რადიაქტიურობისაგან. ეს საშუალებას მოგვცემს ეუშმარიტად პრეციზიული კვლევა გავშალოთ. მაგალითად, ობსერვატორიის პირობები საშუალებას გვაძლევს შევამოწმოთ ელექტრონებისა და პროტონების სტაბილურობა, რაც უკვე გაკეთებულია ელექტრონისათვის მსოფლიოში არსებულ მონაცემებზე მნიშვნელოვნად მეტი სიზუსტით. ლაბორატორიაში მოეწყო აგრეთვე ზემკვრივი ბირთვების ძიება ბუნებაში, განისაზღვრება მთვარის გრუნტის რადიაციული მახასიათებლები.

ორმოც წელზე ცოტა მეტი ხნის წინათ თეორიულ ფიზიკაში გამოთქვა აზრი, რომ ბუნებაში აუცილებლად უნდა არსებობდეს ნეიტრინო. შემდეგ ათწლეულების მანძილზე მიმდინარეობდა ინტენსიური ძიება, რომელიც დაგვირგვინდა ამ გასაოცარი მოუხელთებელი ნაწილაკის აღმოჩენით, მსოფლიოს უდიდეს ამჩქარებლებზე გაჩაღდა მისი თვისებების ფართო შესწავლა. ახლა ნეიტრინოები, თავის მხრივ, სამყაროს ფუნდამენტური კანონების შესახებ ჩვენი ცოდნის შემდგომი გაფართოების ინსტრუმენტი ხდება.

ა. თავხელიძე,
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

„პრავდა“, 11/II—79 წ.

ფართოვდება მეცნიერების ჰორიზონტები

მობს ინსტიტუტის თანამშრომელთა დიდი კოლექტივი, რომელსაც ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ვ. ტ. ზაცეპინი და ა. ე. ჩუდაკოვი.

საგჭოთა დელეგაციის განცხადება

ბელგრადი, 12 თებერვალი, (საკდესი). საბჭოთა დელეგაციამ აქ მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციაზე „ფესტ-79“ პროტესტი განაცხადა იმასთან დაკავშირებით, რომ ფესტივალის პროგრამაში შეიტანეს ამერიკული ფილმი „ირმებზე მონადირე“, რომელიც შეურაცხყოფას აყენებს ვიეტნამელ ხალხსა და მის დიად გმირობას ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის წინააღმდეგ პრძოლაში.

აქ გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალ „ისკუსტვო კინოს“ რედაქტორმა ე. დ. სურკოვმა საბჭოთა დელეგაციის სახელით გაკეთა განცხადება, „რომელშიც გამოთქმულია გაკვირვება კინოფესტივალის მომწყობთა მიერ პროგრამაში ამ ანტივიეტნამური ფილმის შეტანის გამო. კინოფესტივალის წესდებაში ჩაწერილია, აღნიშნულია განცხადებაში, რომ მისი მიზანია მსოფლიო ხალხებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით ჰუმანისტური პროგრესული კინოხელოვნების განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

ამ კინოსურათში ბევრი რამ თავდაყირაა დაყენებული. ამერიკელი ოკუპანტები ვიეტნამში, მაგალითად, გამოხატული არიან მსხვერპლებად, ხოლო გმირი ვიეტნამელი მეომრები, რომლებიც თავიანთი ხალხის თავისუფლებისათვის იბრძოდნენ, — ჯალათებად.

საბჭოთა დელეგაციის განცხადებაზე ექსპერიმენტული მონაცემების სწორი განმარტება თვით ნაწილაკების თვისებათა რაც შეიძლება სრულ ცოდნას მოითხოვს. საქმე ის გახლავთ, რომ მეცნიერებისათვის ცნობილია ორი ტიპის ნეიტრინო — ეგრეთ წოდებული ელექტრონული და მიუონური ნეიტრინოები, რომლებიც ერთმანეთისგან ნივთიერებასთან ურთიერთმოქმედების ზოგიერთი მახასიათებლით განსხვავდებიან. თეორიულად შესაძლებელია, რომ დედამიწისკენ მომავალ ელექტრონულ ნეიტრინოებს გზაში შეუძლიათ თვითნებურად გარდაიქმნენ მიუონურ ნეიტრინოებად. ამის შედეგად დედამიწაზე რეგისტრირებული ამ ნაწილაკების ნაკადი უფრო ნაკლები შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე ფაქტიურად წარმოქმნის მათ მზე. ამ პრობლემის გადაწყვეტაში გარკვეული წვლილი შეაქვს იმ ნეიტრინოების შესწავლას, რომლებიც ჩვენი პლანეტის ატმოსფეროში წარმოიქმნება ჰაერის ატომების ბირთვებთან კოსმოსური სხივების ურთიერთმოქმედების დროს და დედამიწაში გაივლის.

სხვადასხვა წარმოშობის ნეიტრინოს ნაკადების რეგისტრაციისა და შემდგომი ანალიზისათვის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული კვლევის ინსტიტუტი ყაბარდო-მალყარეთის ასს რესპუბლიკაში ქმნის ბაქსანის ობსერვატორიას, რომელსაც აქვს მიწისქვეშა ლაბორატორიები და ნეიტრინული ტელესკოპები. დანადგარების პროექტების, ექსპერიმენტების მეთოდიკის შემუშავებასა და ფიზიკურ კვლევაზე შრომობს ინსტიტუტის თანამშრომელთა დიდი კოლექტივი, რაც, კერძოდ, საშუალებას გვაძლევს გავზომოთ ჩვენი მნათობის ცენტრის ტემპერატურა. ნეიტრინოს დეტექტირების რადიოქიმიური მეთოდი წამოაყენა აკადემიკოსმა ბ. მ. პონტეკორვომ. ამ შემთხვევაში მეთოდის არსი ის არის, რომ ტელესკოპის კონტეინერმიზანში მოხვედრილი ნეიტრინო ქლორის ბირთვებს არგონის რადიაქტიურ ბირთვებად გადააქცევს. ასეთი გარდაქმნები უაღრესად იშვიათია, სამი ათასი ტონა მიზნის ნივთიერებიდან რამდენიმე ატომის გამოყოფის ფიზიკურ-ქიმიური პროცედურა ფრიად შრომატევადი და საკირკიტო საქმეა. ამიტომ, აქვე მიწის ქვეშ, განლაგებული იქნება არგონის ცალკეული ატომების გამოყოფისა და დათვლისათვის გათვალისწინებული ზემგრძნობიარე დანადგარი.

ქლორ-არგონული მეთოდი უკვე გამოიყენა ამერიკელმა ფიზიკოსმა რ. დევისმა. ამ ექსპერიმენტებმა გვიჩვენა, რომ დედამიწაზე მოსული მზის ნეიტრინოების ნაკადი არსებითად ნაკლებია გაანგარიშებულზე. მაშასადამე, მზის ცენტრში ფიზიკური პირობები, მაგალითად, ტემპერატურა, შეიძლება განსხვავებული იყოს თეორიით ნაწინასწარმეტყველებისაგან. ბაქსანის ქლორ-არგონის ტელესკოპი მნიშვნელოვნად მეტი მასშტაბისა და მგრძნობიარობის წყალობით საშუალებას მოგვცემს მივიღოთ სპექტრის ამ უბანში მზის ნეიტრინოს ნაკადების ზუსტი მნიშვნელობანი და დიდი საიმედოობით გავზომოთ მზის წიაღის ტემპერატურა.

საბოლოო პასუხი იმაზე, სწორია თუ არა თანამედროვე წარმოდგენები ჩვენი ვარსკვლავის მიერ ენერგიის გენერაციის შესახებ, შეიძლება მივიღოთ მხოლოდ ყველაზე დაბალი ენერგიების მზის ნეიტრინოების შესწავლის შედეგად. მათი რეგისტრაციის მეთოდი დამუშავა ბირთვული კვლევის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ვ. ა. კუზმინმა და საფუძვლად უდევს ნეიტრინოს მოქმედებით გალიუმის ბირთვების გერმანიუმის ბირთვებად გარდაქმნის გამოყენება. ლაბორატორიული ცდები დამაიმედებელი აღმოჩნდა, და ინსტიტუტში უკვე იქმნება გალიუმ-გერმანიუმის ტელესკოპი, რომელიც შეიცავს რამდენიმე ათეულ ტონა გალიუმს. ამ ცდებში ნეიტრინოების გაანგარიშებული ნაკადის რეგისტრაცია გახდება იმის საბუთი, რომ მზე ბუნებრივი თერმობირთვული რეაქტორია. ისევ დაგვრჩენია დავსძინოთ, რომ ამგვარი ექსპერიმენტები ჯერ არსად არ განხორციელებულა მსოფლიოში.

ბაქსანის ნეიტრინული ობსერვატორია მრავალმიზნობრივი სამეცნიერო კომპლექსია. მისი მიწისქვეშა ლაბორატორიები საიმედოდ არის დაცული კოსმოსური სხივებისა და ბუნებრივი რადიაქტიურობისაგან. ეს საშუალებას მოგვცემს ეუშმარიტად პრეციზიული კვლევა გავშალოთ. მაგალითად, ობსერვატორიის პირობები საშუალებას გვაძლევს შევამოწმოთ ელექტრონებისა და პროტონების სტაბილურობა, რაც უკვე გაკეთებულია ელექტრონისათვის მსოფლიოში არსებულ მონაცემებზე მნიშვნელოვნად მეტი სიზუსტით. ლაბორატორიაში მოეწყო აგრეთვე ზემკვრივი ბირთვების ძიება ბუნებაში, განისაზღვრება მთვარის გრუნტის რადიაციული მახასიათებლები.

ორმოც წელზე ცოტა მეტი ხნის წინათ თეორიულ ფიზიკაში გამოთქვა აზრი, რომ ბუნებაში აუცილებლად უნდა არსებობდეს ნეიტრინო. შემდეგ ათწლეულების მანძილზე მიმდინარეობდა ინტენსიური ძიება, რომელიც დაგვირგვინდა ამ გასაოცარი მოუხელთებელი ნაწილაკის აღმოჩენით, მსოფლიოს უდიდეს ამჩქარებლებზე გაჩაღდა მისი თვისებების ფართო შესწავლა. ახლა ნეიტრინოები, თავის მხრივ, სამყაროს ფუნდამენტური კანონების შესახებ ჩვენი ცოდნის შემდგომი გაფართოების ინსტრუმენტი ხდება.

ა. თავხელიძე,
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

„პრავდა“, 11/II—79 წ.

ირანი: რეაქციის საშიში პროვოკაციები

ნიუ-იორკი, 11 თებერვალი. (საკდესი). თეირანში მდგომარეობა კვლავ მკვეთრად გამწვავდა. იმპერიის გვარდიის ქვეგანყოფები ტანკების მხარდაჭერით თავს დაესხნენ ფარაჰაბადის სამხედრო-საჰაერო ძალების საწვრთნელ ბაზას ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირა რაიონში, რომ დაეხოცათ ბაზის კურსანტები და უმცროსი ოფიცრები, რომლებიც უკანასკნელ დღეებში მონაწილეობდნენ ხომეინის მხარდასაჭერად გამართულ დემონსტრაციებში.

ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების ინტენსიური სროლა ერთ საათზე მეტ ხანს არ შეწყვეტილა ბაზაში. დასავლეთის კორესპონდენტები იუწყებიან, რომ შაჰის რეჟიმის მოწინააღმდეგეთა და მომხრეთა ამ გააფთრებული შეტაკების შედეგად არმიის რიგებში დაიხოცა სულ ცოტა 60 კაცი.

საგანგაშო ღამის მემდეგ თეირანის ცენტრალურ ქუჩებსა და მოედნებზე გამოიყვანეს ტანკები, ჯავშანტრანსპორტორები, სამხედრო სატვირთო მანქანები, რომელთა კაბინების სახურავზე ტყვიამფრქვევები იყო დაყენებული.

იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლი იუწყება, რომ სროლის დროს დაიღუპა მოვლენის ადგილას მესული ამერიკის გაზეთ „ლოს-ანჯელეს ტაიმსის“ კორესპონდენტი ჯ. ბორისი.

შუადღისას ნამდვილი საომარი მოქმედება იყო უკვე გაჩაღებული არა მარტო ბაზის ტერიტორიაზე, არამედ მის ახლომდებარე ქუჩებშიც. შეტაკებები და სროლა ატყდა შაჰის ნიავარანის სასახლის რაიონშიც, თეირანის საერთაშორისო აეროპორტის, შეიარაღებული ძალების შტაბის მახლობლად. თვითმხილველნი იუწყებიან, რომ ლავიზანის ყაზარმების ნაწილი, სადაც იმპერიის გვარდიაა განლაგებული, ალმოდებულია. ფარაჰაბადის რაიონში დაფრინავდნენ სამხედრო ვერტმფრინაველი და ტყვიამფრქვევის ცეცხლს უშენდნენ კურსანტთა პოზიციებს. რეიტერი იუწყება, რომ ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს ბაზის სამხედრო მოსამსახურეებმა გვარდიელებს ტანკი წაართვეს. იერიში მიიტანეს არმიის სატვირთო მანქანების ბადრაგზე, რომლებსაც მაშველი ძალები გადაჰყავდა და ტყვია-წამალი მიჰქონდა შაჰის გვარდიისათვის. რამდენიმე მანქანას ცეცხლი გაუჩინეს ცეცხლწამკიდნარევიანი ბოთლებით.

ზიმომხილველები გამოთქვამენ აზრს, რომ დღევანდელი შეტაკებანი თეირანში პროვოკაციულად მოაწყო არმიის რეაქციულმა ზედფენამ, რომელიც საბაბს ეძებს სამხედრო გადატრიალებისათვის.

სამხედრო ხელისუფალთა განკარგულებით დღეიდან თეირანში შვიდნახევარი საათით გახანგრძლივდა კომენდანტის საათი. 16 საათსა და 30 წუთიდან დილის 5 საათამდე აკრძალულია ხალხისა და სამოქალაქო ტრანსპორტის ყოველგვარი მიმოსვლა. ასოშიიტედ პრესის კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ თეირანის შემოგარენში დიდძალი ჯარებია თავმოყრილი.

ნიუ-იორკი, 11 თებერვალი. (საკდესი). ვითარება თეირანში სულ უფრო მწვავდება. შაჰის გვარდიის თავდასხმებს ფარაჰაბადის საწვრთნელ ბაზაზე დედაქალაქის მახლობლად მოჰყვა შაჰისადმი ოპოზიციური ძალების მკვეთრი აქტივიზაცია.

თეირანის სააგენტოების ცნობით, დღეს დილით განახლდა ბრძოლა აჯანყებულთა ძალებსა და შაჰის გვარდიას შორის. გვარდიელები ვერ ახერხებენ აჯანყებულ სამხედროთა წინააღმდეგობის ჩახშობას, რომლებსაც დახმარებას უწევს სამოქალაქო მოსახლეობა. თეირანში შეიყვანეს ტანკები. დედაქალაქისკენ მიმავალი ყველა გზა ბლოკირებულია ბახთიარისადმი ერთგული ჯარების მიერ.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, აჯანყებულებმა მწყობრიდან გამოიყვანეს ოთხი ტანკი „ჩიფტენი“. მათ დაიკავეს პოლიციის რამდენიმე უბანი. მთელი დოკუმენტაცია, რომელიც იქ იყო, დაწვეს.

თეირანის უნივერსიტეტის ტერიტორია გადაქცეულია გამაგრებულ რაიონად. მის გარშემო აღმართულია ბარიკადები. ზოგიერთი სტუდენტი აღჭურვილია ცეცხლსასროლი იარაღით.

დღეს დილით შეირაღებული რაზმი რამდენიმე ასეული კაცის შემადგენლობით თავს დაესხა სახმელეთო ძალების ბაზას, რომელიც თეირანის ცენტრალურ სექტორში მდებარეობს. იქ მოხდა სისხლისმღვრელი ბრძოლები. თეირანის რადიო იუწყება, რომ ბაზა „ხელთ იგდო ხალხმა“.

ასოშიეიტედ პრესის ცნობით შაჰის ჰომხრე ჯარების მხარდასაჭერად თეირანისაკენ ქერმანშაჰიდან და ყაზვინიდან დაიძრა ტანკების ორი კოლონა, მაგრამ მათი წინსვლა შეაჩერეს ხომეინის მომხრეებმა.

ირანის ფარსის სააგენტოს ცნობით, უკანასკნელი დღე-ღამის განმავლობაში თეირანში დახოცილია 200-ზე მეტი კაცი და დაჭრილია დაახლოებით 900.

დღეს ასობით აჯანყებულმა დაიკავა ისრაელის საელჩოს შენობა თეირანში, რომელიც, როგორც ცნობიდან ჩანს, მანამდე მიატოვეს მისმა თანამშრომლებმა. მანიფესტანტები, რომლებმაც ალყა შეჭოარტყეს საელჩოს აიათოლა ხომეინის პორტრეტებით, გაიძახოდნენ „ისრაელო, გაეცალე ირანს!“. თავს დაესხნენ ავრეთვე ისრაელის სავაჭრო მისიას თეირანში, ხომეინის მომხრეებმა ხელთ იგდეს მისიის საიდუმლო დოკუმენტები. ირანის დედაქალაქი ფაქტიურად ფრონტის ქალაქად გადაიქცა. მისი ქუჩები გადაღობილია ათობით ბარიკადებით, რომლებიც აგებულია გადაბრუნებული ავტობუსებისა და ავტომანქანებისაგან, წყაცეული ხეებისაგან, ლითონის ჭიმკრებისა და ღობურებისაგან.

ქალაქში გრძელდება ხანძრები. როგორც ფრანს პრესის სააგენტო აღნიშნავს, „თეირანი საყოველთაო აჯანყებამ მოიცვა. ხომეინის მომხრეთა შეიარაღებული ჯგუფები, რომლებშიც შედიან ავრეთვე რევოლუციის მხარეზე გადასული ჯარისკაცები, პატრულობენ თეირანის მეტი წილი რაიონების ქუჩებს.

ოპოზიციის ცნობების თანახმად, შეჭიდულია სამხედრო-საჰაერო ძალების სამხედრო მოსამსახურეთა, ქვეითი ნაწილების ჯარისკაცთა და პოლიციელთა მასობრივი დაუმორჩილებლობა სარდლობისადმი. ისინი იარაღით ხელში გადადიან აჯანყებულთა რიგებში. თეირანის მთელ აღმოსავლეთ სექტორს კონტროლს უწევენ შაჰის მოწინააღმდეგე ოპოზიციის ძალები. ამ რაიონში ბარიკადებს იქით, რომლებიც გაძლიერებულია მთავრობის ჯარებისათვის წართმეული „მორიელის“ ტიპის ტანკებით, მიმდინარეობს აჯანყებულთა მასობრივი წვრთნა. მათ ასწავლიან აჯანყებულ ჯარისკაცებისაგან მიღებული ამერიკული იარაღის ხმარებას.

როგორც ირანის დედაქალაქიდან მიღებული ცნობებიდან ჩანს, შაჰის გვარდიამ, რომელმაც გამოიწვია სისხლისღვრა, საგრძნობი ზარალი განიცადა.

ხალხის მასობრივი გამოსვლების პირობებში თეირანის რადიოთი წაიკითხეს უმაღლესი სამხედრო საბჭოს კომუნიკე. კომუნიკეში ნათქვამია, რომ საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ახლანდელ პოლიტიკურ კონფლიქტში შეიარაღებული ძალების ნეიტრალიტეტის შესახებ და უბრძანა მთელ ჯარებს ყაზარმებში დაბრუნდნენ.

ნიუ-იორკი, 11 თებერვალი. (საკდესი). ირანის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, როგორც იუნაიტედ პრს ინტერნეშნლის საგენტო იუწყება, კვირა საღამოს განაცხადა, რომ შაჰის მიერ დანიშნული პრემიერ-მინისტრი ბახთიარი გადადგა და დროებითი მთავრობის მეთაური ბაზარგანი თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგება ორშაბათიდან.

წარმომადგენელმა წაზი გაუსვა, რომ ბახთიარის გადადგომა ლად არაფერმ არ მოელის, თუ არ ჩავთვლით პრივილეგიებულთათვის განკუთვნილ სატუსაღოში პატიმრობის სამ წელს.

სწორედ ამ გარემოებამ აქცია უჩვეულოდ და უცნაურად ამქამინდელი ვაშინგტონის სასამართლო. როცა მაიკლ თაუნსი დარბაზში გამოჩნდა და მოწმეთა სავარძლისაკენ გაემართა, მკვლელობაში მისი თანამონაწილე კოლეგები, რომლებიც ბრალდებულთა ადგილებზე ისხდნენ, აყვირდნენ „ცსს-ელო! გამეიდველო! თაღლითო! ყელი უნდა გამოგკრას კაცმა, ძაღლისშვილო!“

თაუნსის უსამოვნებანი ამით არ დასრულებულა. მკვლელთა ვექილებმა, რომელთა პონორარის ოდენობაც მათ მოხერხებულობაზეა დამოკიდებული, დაცვა ისე წარმართეს, რომ საპატიმროში მოხვედრილ თაუნსი და დაემტკიცებინათ, რომ იგი იმდენად დინისა კი არა, არამედ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტია.

ბრალდებამ, რომლისთვისაც კარგად იყო ცნობილი გარიგების პირობები, მოითხოვა ვექილებს არ დაესვათ კითხვები ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან თაუნსის ურთიერთობის შესახებ, რადგან, თურმე, ამ ურთიერთობას „პირდაპირი კავშირი არ ჰქონია“ ლეტელიერის მკვლელობასთან. „წესრიგის მოყვარულმა“ მოსამართლემ მხარი დაუჭირა მოთხოვნას.

მკვლელები რომ პინოჩეტის უშუალო ბრძანებით მოქმედებდნენ, ამაში ექვი არავის ეპარება. ასევე უეჭველია ისიც, რომ ამ პროცესის გამართვა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ლეტელიერის მკვლელობით მთელი მსოფლიოს აღშფოთების გამო და ეს პროცესი საზოგადოებრივმა აზრმა გაამართინა ამერიკის მთავრობას.

**გათავხედებული პინოჩეტი არაფერს აღარ მოერიდა, რადგან ეგონა, რომ ამერიკის დაზვერვის სამმართველოს მხარდაჭერით შეუძლია მოსპოს ყველა, როცა კი ამას მოისურვებს და სადაც მოისურვებს, თუნდაც თვითონ სახლდან ორი უბნის დაშორებით. ადამიანის უფლებების დაცვის „ქომაგი“ თვითონ სახლი თვითონ გაება თავის დაგებულ მახეში, რომლისგან თავის დაღწევა მას ძალზე გაუჭირდებოდა, მკვლელები რომ არ გაესამართლებინა. აი, რატომ გადაწყვეტეს დაესაჯათ აღვირახსნილი დიქტატორი. მაგრამ ძაღლს — დინის — დასჯით, ცდილობენ არავითარ შემთხვევაში არ შეეხონ მის პატრონს — ცენტრალ

ᲡᲐᲑᲐᲠᲔᲯᲝᲡ რაიონის პატარძეულის სამეურნეობათშორისო მეცხვარეობის გაერთიანების ფარებში 24 ათასი ცხვარია. აქედან 9 ათასი ნერბია. ორივე ბრიგადა წარმატებით ატარებს დოლს, ყოველდღიურად იზრდება ხუთწლედის მეოთხე წლის ნამატი. მეცხვარეებმა უკვე 5 ათასი ბატკანი მიიღეს.

მწყემსები კარგად მოემზადნენ პასუხსაგები კომპანიისათვის: დაამზადეს საკვების დიდი მარაგი, დაათბუნეს ნამატის სადგომები. პატარძეულელი მწყემსები პირობას დებენ ყოველ ას ნერბზე 90 ბატკანი მიიღონ და შეინარჩუნონ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზამთრის საძოვრებზე; პატარძეულის სამეურნეობათშორისო მეცხვარეობის გაერთიანების ერთ-ერთი სარქალი ზაქარია ცხვარიაშვილი.

Რ. ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲔᲥᲠᲘ

● ᲑᲐᲠᲐᲥᲐᲚᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲫᲘᲣᲓᲝᲘᲡᲢᲔᲑᲘ!
● ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲔᲚ ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲘᲛᲔᲓᲘᲐᲜᲘ-ᲡᲐᲠᲢᲘ

ᲑᲐᲡᲣᲚ კვირას თბილისში ორი დიდი ასპარეზობა გაიმართა: თბილისის X საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი ძიუდოში და უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის საწყისი ეტაპი.

ᲑᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ფიცხელი ბრძოლა გაიმართა ძიუდოისტთა შორის, რომელშიც ქართველმა ფალავნებმა არაერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმეს. ასპარეზობის პირველ დღეს ქვემძიმე წონაში **რამაზ ხარშილაძის** ლამაზმა და გახმაურებულმა გამარჯვებამ მომდევნო დღეებში სპორტის სასახლის ტრიბუნებზე უამრავი მაყურებელი მიიზიდა. გაიხსენეთ, მან ხომ თბილისის ამ ტრადიციულ ასპარეზობათა ისტორიაში მეხუთედ მოიპოვა უძლიერესის ტიტული. ამავე წონაში მესამე სპარზო ადგილს დაეუფლა **თემურ ხუბულური.** მეორე დღე საქართველოს სპორტსმენთათვის კიდევ უფრო იღბლიანი გამოდგა. ჯერ იყო და, საშუალო წონაში ყველას აჯობა **დავით ბოდაველმა,** შემდეგ კი ქვესაშუალო წონის ათლეტმა **აბესალომ წიკლაურმა** მოიპოვა პირველი ადგილი. ქვესაშუალო წონაში **მალხაზ ალბორიშვილმა,** ხოლო საშუალოში **ჯემალ კბილაშვილმა,** ბრინჯაოს მედლები მიიღეს.

მესამე დღეს თავი ისახელეს **დავით კოდანოვმა** (მსუბუქი წონა) და **ამირან ობგაიძემ** (ქვემსუბუქი). პირველმა მეორე სპრიგში ადგილი დაიკავა, ხოლო მეორემ — მესამე. შეჯიბრების კულმინაცია გახლდათ მეოთხე დღე. ამჯერად საქართველოს ათლეტმა ახსოლუტურ პირველობაში იმარჯვეს. აღსანიშნავია, რომ ფინალში ერთმანეთს საქართველოს სპორტსმენები შეხვდნენ: **თემურ ხუბულური** და **ჰამლეტ ლოლაშვილი.** ხუბულურმა სწორედ ქვემძიმე წონაში დაკავებული მესამე ადგილის მერე შეძლო უფრო მნიშვნელოვანი გამარჯვების მოპოვება. ცხადია, ახსოლუტურ ასპარეზობაში გამარჯვება იმაზე მიგვანიშნებს, რომ ხუბულურის სახით უთუოდ ნიჭიერი და ძლიერი ძიუდოისტი გვყავს.

სულ შვიდი წონითი კატეგორიიდან, აგრეთვე ახსოლუტურ პირველობაში ქართველმა ათლეტებმა 4 ოქროს, 2 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭეს. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა 53 ქულა დააგროვა და ყველა მეტოქეს აჯობა. სსრ კავშირის ნაკრები 37 ქულით მეორე ადგილზე გავიდა (ორი პირველი ადგილი, ოთხ — მეორე და ერთიც მესამე), იაპონელები მესამე ადგილს დასჯერდნენ (ორი პირველი და ერთი მეორე ადგილი).

ქართველ ძიუდოისტთა უფროსი მწვრთნელის, ბიძინა მაზიაშვილის, — ამ კარგი სპეციალისტის ხელმძღვანელობით ურიგოდ არ მომზადებულან ჩვენი მოჭიდავენი. ახლა კი იმის ჯერი დადგა, რომ მოპოვებული განვამტკიცოთ და ყველაფერი ვიღონოთ სპარტაკიადაში წარმატებით გამოსვლისათვის.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ სასპარტაკიადო ბრძოლებში შედარებით „უკეთესის მერმისი წარმოგვიჩინეს თბილისის „დინამოს“ წყალბურთელებმა. საკავშირო პირველობის პირველი წრის საწყის ეტაპზე დინამოელებმა ზედიზედ ოთხი გამარჯვება იზეიმეს. ასეთი შედეგები მათ კარგა ხანია არ ჰქონიათ და ახლა იმის იმედიც დაიბადა, რომ ჩვენი წყალბურთელები ხალხთა სპარტაკიადისათვის უკეთ მოემზადებიან. ნიშანდობლივია ისიც, რომ გუნდში მოსულმა ნიკიერმა ახალგაზრდებმა კარგად აუბეს მხარი გამოცდილ ვეტერანებს.

თბილისში და მოსკოვში დამთავრებული პირველი წრის საწყისი ეტაპის შემდეგ თბილისის „დინამოს“ გათამაშების ცხრილში 12 შესაძლებლობიდან 8 ქულით მეოთხე სტრიქონი უკავია. თუ გავითვალისწინებთ წინა წლების ჩავარდნებს, ეს შედეგი ურიგოდ არ უნდა მივიჩიოთ. თბილისელებს წინ კიდევ ძნელი გამოცდა ელით: ახლა თოთხმეტივე გუნდი ტაშკენტში შეიკრიბება, სადაც გაიმართება პირველი წრის დასკვნითი ეტაპის შეხვედრები (23 თებერვლიდან 2 მარტამდე).

Ჯ. ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲔ.

ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲡᲐᲛᲔ!

ᲙᲐᲣᲜᲐᲡᲨᲘ დამთავრდა მაგიდის ჩოგბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი. ვაუთა წყვილებში ბათუმელმა ს. სარხოიანმა ლვოველ ა. სტროკატოვთან ერთად პირველობა მოიპოვა. სარხოიანმა ამ გამარჯვებით საკავშირო ჩემპიონატებში მოპოვებული ოქროს მედლების კოლექცია ოცდასამამდე გაზარდა.

ᲡᲐᲛᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ

ᲙᲘᲔᲕᲨᲘ და მინსკში ახლახან დაიწყო უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაუთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მატჩები. შესაძლებლობა მომეცა კიევში, იქ სადაც თბილისის „ბურევესტნიკი“ ასპარეზობს, დავსწრებოდი სამ შეხვედრას. თბილისელებმა სამივე მატჩი მოიგეს: რიგის „ელექტროიქსონან“ (28:21), ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდთან (24:21) და კიევის არმიელთა „ოლექტივთან (29:25). თბილისის „ბურევესტნიკმა“ მოთამაშენი ისინის იყო იუგოსლავიიდან ჩამოვიდნენ და ქვაყნის პირველობაში ჩაეხნენ. მათ თბილისის ძმადნფიც ქალაქში — ლიუბლიანაში სამი მატჩი გამართეს, რომელთაგან ორი მოიგეს და ერთი წააგეს.

თბილისელებმა კიეველ ხელბურთელებს რუსეთთან უკრაინის შეერთების 325 წლისთავი გულითადად მიულოცეს, გაუზიარეს იუგოსლავიაში მიღებული თამაბეჭდილებები და იქ მიღებული გამოცდილება.

ახლა იმის შესახებაც, თუ როგორ ითამაშეს კიევში თბილისელებმა საწყის ეტაპზე. გუნდმა სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. „ბურევესტნიკის“ მწვრთნელებს გ. მაჭავარიანს და ა. ლელაშვილს კარგად მოემზადებიათ კოლექტივი ამ მეტად პასუხსაგები ჩემპიონატისათვის. იგი ხომ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადას უსწრებს წინ. ამჟამად გუნდის გამოკვეთილი ლიდერები არიან ა. ანპილოგოვი და ა. ტაბიძე, რომლებიც კარგად ართმევენ თავს მათს წინაშე დასახულ ამოცანებს. გატანილი უმრავლესი გოლების ავტორები სწორედ ისინი არიან. მეტოქეებს განსაკუთრებით ანპილოგოვის უენებელუოფა უჭირდათ. სამწუხაროდ, ტაბიძეს ფეხის ტრავმა აწუხებს, მაგრამ უხდა ითქვას ისიც, რომ იგი თავს არ ზოგავს გუნდის ინტერესებისათვის.

Ш. ᲥᲕᲔᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

„ᲧᲕᲔᲚᲐ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ“ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲗ ᲐᲒᲔᲒᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. აქ დამთავრდა სსრ კავშირისა და ჰოკეის ეროვნული ლიგის ნაკრები გუნდების შეხვედრები. სსრ კავშირის ნაკრებმა პირველი მატჩი წააგო (2:4), მეორე მოიგო (5:4) და ყოველივე უნდა გადაეწყვეტა მესამე შეხვედრას. ამჯერად სსრ კავშირის ჰოკეისტებმა მართლაც და დიდებულად იასპარეზეს და დაამარცხეს ჰოკეის ეროვნული ლიგის „ყველა ვარსკვლავის“ გუნდი ანგარიშით 6:0. საბჭოთა ჰოკეისტებმა ამ მატჩების სერიაში საბოლოო გამარჯვებისათვის დაწესებული სპეციალური თასი მიიღეს.

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡ

ᲡᲐᲜ-ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲡᲙᲝ. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიურმა ნაკრებმა დაამთავრა თავისი ტურნე მექსიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ბოლო შეხვედრა საბჭოთა ოლიმპიელებმა გამართეს სან-ფრანცისკოში ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:1 (3:0). ჩვენმა გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **რადაევი, ბოკეი (როდინი), შვიცოვი, სულაქველიძე, გრიგორიევი, ვასილიევი, უსტიმჩიკი, ანი, ტარხანოვი, კლემენტიევი, ანდრეევი.**

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

3 თებერვალი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

09.00 — „ვრცელი ინფორმაციო პროგრამა“ — საინფორმაციო პროგრამა 10.40 — „ᲛᲐᲚᲐᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ — ᲨᲕᲘᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ — ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ (ფ.), 17.30—განცხადებები (ფ.), 17.35—შეეის წავლოთ ინგლისური ენა, 18.05 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გვეძებეთ მთებში“, 18.40 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 19.10 — „საესტრადო პანორამა“ (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „დეპუტატობის კანდიდატები“ — ანატოლი აკობა, 20.10 — სპორტული მიმოხილვა, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — „ვერნისაჟი“. „წარდგენილია რუსთაველის პრემიის მოსაპოვებლად“ — სერგო ქობულაძე (ფ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.45 — მუსიკალური ფილმების სატელევიზიო ფესტივალი — „სიმღერა ეკრანზე“. მხატვრული ფილმი „ჩალის ქუდი“ 1 სერია (ფ.).

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

18.00 — რუსული სკოლების მოსწავლეთათვის— ფიზიკა (ფ), 18.45 — განცხადებები (ფ.), 18.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „იქ, სადაც ვოლგა ოკას ერთვის“, 19.20 — სტუდენტთათვის — თეორიული მექანიკა (ფ.), 20.05 — მხატვრული ფილმი „მხოლოდ ორნი“ (ფ.), 21.20 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სიურპრიზი“.

ᲠᲐᲓᲘᲝ

14 თებერვალი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.31 — „დილის კონცერტი“, 08.37 — საბჭოთა კავშირის ხალხთა მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ლ. კნიპერი. მესამე სიმფონიური კვარტეტი, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მ.), 11.10 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა ქართულ ენაზე, 11.20 — ქართული სიმღერა, 11.45 — „პარტიული ცხოვრება“. საუბარი „პარტიული დისციპლინა“, 12.15 — შ. მილორავა. სიმღერები, 12.25 — „პიონერია უპირველეს ყოვლისა“ — ე. მეექალიტისის ლექსები, 12.30 — უკრავს ი. ხეიფეცი, 13.00 — გაზეთ „პრავდის“ მოწონებული სტატია, 13.40 — ო. ფელცმანი. სიმღერები, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. მ. გორკი — „დედა“ (გაგრძელება), 14.20 — შუმანი. საფორტეპიანო ციკლი „ჰრელი ფურტლები“, 17.15 — შ. მშვეიერი. ოპერა „დიდოსტატის მარჯვენა“. ნაწყვეტები, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის. რადიოსადგური „ციცინათელა“, 18.10 — „მელოდია, რიტმი, განწყობილება“, 19.00 — „ხალხის კანდიდატები“, 19.15 — მღერის ანსამბლი „გორდელა“, 20.00 — „ეკრანის მელოდიები“, 20.20 — „ლექსი, ამაღლდა!“ (ვ. ყურული ლაბადების 70 წლისთავის გამო), 20.30 — რადიოეკურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი“ (ბაქოდან), 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 ახალგაზრდობისათვის. „პიროვნება და საზოგადოება“, 21.30 — ს. რახმანინოვი. მეორე საფორტეპიანო კონცერტი, 22.05 — სპექტაკლის „ჩვენი თანამედროვის“ ორი სცენა, 23.30 — მ. ამირანაშვილის კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲗᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

13 თებერვალი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ᲫᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲘᲠᲩᲘ (მე-16 აბონ. I წარმ.); შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲪᲐᲠᲪᲘᲡ ᲬᲠᲔ; კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ᲫᲕᲔᲚᲘ ᲕᲘᲚᲓᲔᲕᲘᲚᲔᲑᲘ (პირველი მაისის რაიონის მოსწავლეთათვის. დასაწყისი საღამის 6 ს.); ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ᲛᲔ, ᲪᲝᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲪᲘᲪᲠᲘ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
Გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲞᲝᲕᲔᲑᲚᲐᲓ

ᲝᲢᲘᲐ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ მოთხრობებსა და რომანებში ხშირად ბავშვის თვალით დანახული ქვეყანა ჩანს. ომის გაჭირვებასა და სიდუხჭირეში ისინი ადრე დაკაცდებიან, როგორც მისი გოგიტა („ვარსკვლავთცვენა“) და დაენდობიან მიწის მადლსა და ღონეს. ამ მარადიულ მიმართებაში ერთიანდება ადამიანის მოუსვენარი შრომა-გარჯა და შიშველი ფეხისგულებით ნაგრძნობი სამშობლო. ფრონტზე წასული მამების მაგივრად უდგანან ისინი კვალში მიტოვებულ გუთნეულს და პირველი ხნულის გატანასთან ერთად გადიან თავიანთი ბავშვობიდან. მაგრამ ჩვენი ბავშვობა ჩვენშივე რჩება თურმე. გოგიტა და მისი ტოლები ნაადრევ მწარე სიყვარულსაც გამოცდიან, მაგრამ დაღლილ-დაქანცულები მიამტკ სიზმრებში ზღაპრულ სამყაროს ხედავენ. მოწიფულობაც თან დაატარებს თურმე ადამიანი თავისი ბავშვობის სანუკვარ ზღაპრებს. და ღრმად განცდილი სინამდვილის, შეუღალაზებელი სინამდვილის ხატვაში გართულს ზღაპარიც წარმოესახება. ესეც ხომ შენსავე ბავშვობასთან შეხვედრა და საუბარია, მიატოვებს ოტია იოსელიანის „ზღაპრების“ წმინდა წიაღში დაბრუნებაა. ალბათ ამგვარი იმპულსებიც განსაზღვრავდა „დაჩის ზღაპრების“ შექმნას.

„დაჩის ზღაპარი პურივით და წყალივით სჭირდება,“ დაჯერებით აცხადებს ოტია იოსელიანი თავისი პერსონაჟის პირით. იქვე დასძენს, ჰაერივით სჭირდებაო. ქვემოთ კიდევ უფრო კატეგორიულად იტყვის: „სმა და ჭამა. ახლა ბავშვებისათვის აუცილებელია ზღაპარი“. როგორ მოხდა მწერლის დაკვირვებათა სინამდვილიდან ზღაპარში გასვლა? რამ განაპირობა მიწისსაგან მოწყვეტა და წარმოსახულში მოგზაურობა? „დაჩის ზღაპრების“ წაკითხველი მიხვდება: მწერალი კვლავ მიწაზე დარჩა მამინაც, როცა ვარსკვლავებზე წერს. ეს მიწიდან დანახული მზე, ცა და ზღვის წიალია. ფანტაზიას საოცარი სისწრაფით შეუძლია გადალახოს უშორესი სივრცეები და კვლავ მიწას დაუბრუნდეს. არაფერია ამქვეყნად წარმოსახვაზე სწრაფი. და არაფერია მიწასავით ძვირფასი. ეს რწმენა და სიყვარული დევს „დაჩის ზღაპრებში“, უფრო მეტიც: მღელვარე ფიქრი დედამიწის ბეღზე, მის მომავალზე.

„დაჩის ზღაპრების“ ავტორი არ ჰგავს მეზღაპრე ბაბუას. ის შუახანს არის მიტანებული, მაგრამ უკვე გაუანგულია შორეული გზების მტვრით. ან შინ ზის საწერ მაგიდასთან მთელი კვირაობით, თვეობით, ან გზაშია მანქანით თუ ფეხით გადაგებული. იმ გზებზეა ნაპოვნი მისი მოთხრობებიც და ზღაპრებიც. ნაშრომ-ნაკოური ხელები და ბზით დამწვარი სახე ამ კაცის მიწიერ უშუალობასა და თავისთავადობას ამღავნებდა ყოველთვის.

იშვიათი ერთგულება და თანამიმდევრული მთლიანობა ამჩნევია ოტია იოსელიანის ნაწერებში მიწის თემას. მას თბილისიც უყვარს და ქუთაისიც, მაგრამ ფუძის გრძნობა მის წარმოდგენაში სოფელთან არის გაიგივებული. ის არსად არ უპირისპირდება ტექნიკურ ცივილიზაციას, მაგრამ მის მსოფლშეგრძნებაში სოფელი ბუნების უჭკნობ მშვენიერებასთან, სიკეთესთან და სიწმინდესთან სიახლოვეს ნიშნავს: მის ამ სიყვარულში დროის დარღვეული წონასწორობისა და დისჰარმონიის გამო შეშფოთებაც ქვეცნობიერად განიცდება. ამ განწყობილებამ მიწაზე, მზეზე, ზღვაზე და მთვარეზე დაწერილ ზღაპრებშიც გაჟღერა. მოდად თუ ინერციად ქცეული ეკოლოგიური ტკივილებმ მან ბევრად ადრე იგრძნო, ვიდრე მწერლობაში ეს საკუთარს პრობლემა ფეხს მოიკიდებდა. მას უნდოდა მოზარდსაც თავიდანვე ეფიქრა ბუნების ბედზე ვაჟა ფშაველას ქვეყანაში. ეს ღრმად განცდილი არჩევანი დღემდე განსაზღვრავს მისი არა მარტო მოთხრობების და რომანების, არამედ ზღაპრების აზრობრივ ქვეტექსტს.

ალბათ ბევრს ახსოვს ოტია იოსელიანის ერთ-ერთი პირველი მოთხრობა „ლევანი“. უცნაური, მოულოდნელი, ფსიქოლოგიური, ქვეტექსტით დატვირთული ამბავი ერთი გლეხკაცისა, მიწას რომ მოსწყდა, დაუძღურდა, გამოფიტა და დასნეულდა. ვერაფერმა და ვერავინ უშველა მის სატკივარს. ლოგინში ლოდივით იდო და სიკვდილს უცდიდა. აშრიტებოდა უმოქმედო სიცოცხლე. შორიდან იძახდა ბერძნული მთი მიწას მოწყვეტილ ანთეოსზე, მზე ჩადიოდა, კაცი კვდებოდა. და სიკვდილის წინ მიწის ძახილი გაიგონა, ნარგი შეაბა, გუთანი გამართა და ხნული გაიტანა. მზესთან ერთად იარა კაცმა მიწის გულზე დაღამებამდე და... მოხდა სასწაული, დაღვრილ ოფლთან ერთად გამოიღნა უქმური მისი სხეულიდან. კაცი მიწამ განკურნა, თითქოს მეორედ დაიბადა. ეს მოთხრობა დედფუტკრივით გაეხვია ოტია იოსელიანის ნაწერებში. აქ იყივლა მიწამ და თავისი უკვდავი ძალა გამოაჩინა. მწერლის წარმოსახვაში გაერთიანდა მიწა და ადამიანი. აქედან მოყოლებული ერთ-ერთ ბოლო მოთხრობამდე „სოფლის თვალი“, მწერალი ამ ურთიერთობას მიწისა და კაცისას დაყენებით უტრიალებდა. თითქმის არ დაუწერია ნოველა, მოთხრობა თუ პიესა, სადაც ეს პრობლემა არ გამოეხატოს. მთელ ქვეყანას ეძახდა ერთი ბერული პატარა სოფლის და მისი ადამიანების დასანახავად. იმ სოფელსაც პლანეტის მზე და ვარსკვლავები გაჰყურებდნენ. რასაც ბავშვისთვის წერდა, ის მოზრდილსაც ინტერესით უნდა წაეკითხა. ამიტომ დედამიწაზე ფიქრმა განმსჭვალა „დაჩის ზღაპრებიც“. იქნებ ცოტა დაამძიმა კიდეც ამ საუკუნის თემამ ზღაპრის ფერადოვანი, ჰხიარულებითა და სიკეთის გამარჯვებით სავსე სამყარო? ის არ დარიდებია ბავშვთან სერიოზულ საუბარს. ცოტა რთულად, მაგრამ გასაგებად თქვა მთავარი სთქვენ, როგორ აწყენინეს ადამიანებმა მიწას, მერე როგორ შეითვისეს მისგან მიწიერი ცხოვრების სიბრძნე და სიყვარულით უწოდეს მას დედამიწა.

ოტია იოსელიანის ოჯახში, მის საწერ მაგიდაზე თამბაქოს, ხორბლის, ღვინისა და მწიფე ნაყოფის სურნელება დგას. როცა, წერას თავს მიანებებს, მეურნეა, ხელოვნმართიანი, გულდადებული მიწისმუშა, წყლის, ხის, ბალახისა და ნერგის მესაიდუმლე. ყველაფერი ამით სუნთქავს, არსებობს, ბედნიერია. დრო მუდამ გამოთვლილი აქვს. თუ არ დაიღალა, ისევ დაიძინებს. როცა საწერ მაგიდას და ეზომიდამოს მოსწყდება, ისევ გზებზეა გასული. ადამიანების სიყვარული თან დაჰქვს ყველგან. მერე დაღლილი მობრუნდება იმ შორი გზებიდან, დატვირთული მოვა თავის ბინაში, სადაც ყველაფერი მწერლობის იდუმალებით სუნთქავს. აქ, მის ჭერქვეშ ზღაპარიც მეტი ხალვიათ ბინადრობს. ის ყველა აჯრძელებს წარმოსახულ სამყაროში მოგზაურობას და თავისი დაჩიც იმ შორეულ, დაუსრულებელ გზებზე გაჰყვას. შინ ყველაფერი თავისი ნაჯაფარნამოღვაწარი გულმოდგინედ აქვს შეგროვილი, ადგილმიჩენილი. თავისი წიგნები, მიმოწერები, სტენტაკლების აფიშები მრავალ ენაზე. „დაჩის ზღაპრებიც“ აქ არიან, თავიანთ ბუდეში, რამდენიმე ენაზე თარგმნილი. თავისი ალალი გარჯით მოწეულის სიუხვე იგრძნობა მის ჭერქვეშ. იოლად არაფერი მოუპოვებია, არც ხანგრძლივი განცხრომისა და თვითკმაყოფილების პაუზები სჩვევია. იცის, რომ მწერლობა განუწყვეტელი ჯაფაა, მოუძიებელის ძებნა და საკუთარ თავთან გაუთავებელი ბრძოლა-ჭიდილი. მუდამ პატიოსანი თავგამოდებული, დამქანცველი შრომის იმედზეა. თავის დაჩისაც შრომით ფვრთნის. ფყლისა და ნატეხი პურის ამარა შეუძლია თვეობით გაძღეს. სპორტსმენივით ამტანია და ენერგიადაუშრეტელი, ზოგჯერ თვეები ისე გაივლის, ახლო მეგობრებიც ვერ ნახულობენ, მაგრამ მისი ნიჭის პატივისმცემლებმა იციან, რომ გზაშია, ჰოუსვენრად ეძებს იმ ნოველებს, რომანებსა და ზღაპრებს, მისი ხვედრი რომ არის და მხოლოდ მან, ოტია იოსელიანმა უნდა მიაკვლიოს.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲮᲣᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲘᲜᲕᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ — 79

ᲒᲣᲚᲐᲮᲓᲘᲚᲘ ᲡᲐᲣᲒᲐᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ალკა ონის რაიკომისა და სახალხო განათლების განყოფილების ინიციატივით გაიმართა რაიონის პედაგოგიური კოლექტივებისა და შშობლების შეკრება თემაზე — „სკოლა და აღზრდის პრობლემები“.

შეკრების მონაწილეებმა ილაპარაკეს იმ ტკივილეულ საკითხებზე, რომლებიც ჯერ კიდევ თვალშისაცემია, კერძოდ, მოსწავლეთა ჩაცმულობის ესთეტიკაზე, სწავლების ხარისხზე, ოჯახის, სკოლისა და საზოგადოების ურთიერთობაზე, შშობლის მიერ დღის რეჟიმის დაცვის უკონტროლობაზე.

შეკრებაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ონის რაიკომის მეორე მდივანი გ. ჩაგელიშვილი.

დასასრულ სხდომის მონაწილეებმა ნახეს სახალხო თეატრის დადგმა — ა. დევიძის პიესა „ჩვენ ყველანი“.

Თ. ᲙᲔᲠᲓᲐᲚᲘᲫᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲜᲘ

ᲗᲗᲐ-ᲒᲝᲠᲐᲙᲔᲓᲖᲔ შეფენილი ზუგდიდის რაიონის სოფელი აბასთუმანი კიდევ უფრო დამშვენება ტენგის საბჭოთა მეურნეობის მიერ აშენებულმა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ბიბლიოთეკებს, სპორტულ ბაგა-ბაღების შენობებმა, სკვერებმა, დღის განათების ლამპიონებმა.

მეურნეობის დირექცია (დირექტორი — ი. თორდია) დიდ ყურადღებას აქცევს სოფლის შორეული უბნების კეთილმოწყობას. ხეცერის უბანში აშენდა პირველადი საყოფაცხოვრებო მომსახურების ლამაზი ნაგებობა, სადაც მოთავსდა საფერშლო-სამეანო პუნქტი, სამკერვალო სახელოსნო, სადალაქო, დაიდგა ტელეფონი.

ამავე უბანში „შავდელეზე“ გაიდო ხიდი, ორ კილომეტრზე მოიხრეშა გზა. აქვე გათვალისწინებული რვაწლიანი სკოლის ნაგებობის და სავაჭრო მაღაზიის მშენებლობა.

Ტ. ᲒᲝᲒᲘᲚᲐᲕᲐ,
ზუგდიდის რაიონის აბასთუმნის ტუნგის საბჭოთა მეურნეობის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე.

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘᲡ ᲗᲐᲠᲘᲡᲜᲝᲑᲘᲗ

ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ. (საკ. კორ. ვ. ციერეკიძე). სოფელ კორტში არის ენუქიძეების უბანი. მის მცხოვრებლებს ოდითგანვე სასმელი წყლის ნაკლებობა აწუხებდათ. სოფლის თავკაცი, სასოფლო საბჭოს დეპუტატი ა. ნეფარიძე სათავეში ჩაუდგა კეთილ, საშვილიშვილო საქმეს და აი, ამ დღეებში სოფელმა სასმელი წყაროს წყალი ბიიღო.

ᲛᲣᲡᲘᲙᲐ

ᲡᲘᲡᲐᲓᲐᲕᲔ

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი — კ. ვარდელი, თ. ბათიაშვილი, ო. ჩუბინიშვილი და ნ. ყვანია.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სახელმწიფო კვარტეტი რესპუბლიკის ერთ-ერთი სასუკეთესო საშემსრულებლო კოლექტივია. თავისი ამჟამინდელი შემადგენლობით (კ. ვარდელი — I ვიოლინო, თ. ბათიაშვილი — II ვიოლინო, ო. ჩუბინიშვილი — ჩელო, ნ. ყვანია — ალტი) იგი 13 წელია, რაც მუშაობს და სამართლიანად მოიპოვა მაღალი არტისტული რეპუტაცია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ანსამბლი გახდა რესპუბლიკის დასახურებული კოლექტივი, მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი. კვარტეტის თანაბრად ძლიერი წევრების ურთიერთობა და შეხმატკბილება მათი ყოველი წარმატების მტკიცე საფუძველია. მდიდარი და მრავალფეროვანია ანსამბლის საკონცერტო რეპერტუარი, რომელშიც საკვარტეტო ჟანრის კლასიკურ ნიმუშებთან ერთად დიდი ადგილი უჭირავს ეროვნულ საკვარტეტო მუსიკის ნიმუშებს, უპირველეს ყოვლისა კი ს. ცინცაძის ცხრილი კვარტეტებს.

„ასეთმა ბგერადობამ შეიძლება გშთანთქოს, ჩაგძიროს“, — ასე აფასებდა შეეციაში საგასტროლოდ მყოფ ანსამბლს ერთ-ერთი ავსტრიული გაზეთი. ავტორი აღწერს, რომ „ეს იყო დაუვიწყარი საღამო“, რომ „საქართველოს სიმღერიანი კვარტეტი მართლაც შესანიშნავია“.

ამ ცოტა ხნის წინათ კონსერვატორიის დიდ დარბაზში რესპუბლიკის დამსახურებული კოლექტივი საინტერესო პროგრამით გამოვიდა. მოკლე დროის მანძილზე ეს მათი მეორე საანგარიშო კონცერტი იყო, რაც თავისთავად ანსამბლის შემოქმედებითი მუშაობის ინტენსიურობას დასტურია. კონცერტის პროგრამა, რომელშიც შედიოდა ბეთჰოვენის, შუბერტის, ბრამსის ნაწარმოებები, კოლექტივის საშემსრულებლო შესაძლებლობების ფართო დემონსტრირების საშუალებას იძლეოდა.

დახვეწილი გემოვნებით შესრულდა ბეთჰოვენის კვარტეტი დო მაჟორი. მუსიკოსებმა შეძლეს გადმოეცათ მისი მრავალფეროვნება, სიღრმე, მუსიკალური ფორმის კლასიკური სისადავე და გამოკვეთილობა. ამ ნაწარმოებებმა და საერთოდ ბეთჰოვენის კვარტეტებმა (ანსამბლის რეპერტუარშია კ